# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.





დაარსებულია 1918 წელს.

შაბათი, 4 ოქტომბერი, 2014 წელი.

№203-204 (7584-7585)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge | ვებ გვერდი: www.open.ge | ფასი 50 თეთრი.


## ხალხს უნდა გავაგებინოთ, რაც გაკეთდა! 3



მმართველი გუნდის ერთ-ერთი ლიდერი გიორგი ცაგარეიშვილი მიიჩნევს, რომ ხელისუფლებაში ყოფნის ორი წელი მძიმე იყო, მაგრამ დეპუტატი პროგნოზირებს, რომ მომავალ წელს ქვეყანა წელში გასწორდება. კანონმდებელი თვლის, რომ ხელისუფლებაში კარგად მოლაპარაკე თავების დეფიციტია, რადგან მისი თქმით, უამრავი საქმეა გაკეთებული, საზოგადოებამ კი ეს არ იცის.




## მაინც რამდენი ათეული დოლარით უნდა გაიაფდეს მსოფლიო ბირჟაზე ბარელი ნავთობი, რომ საქართველოში ლიტრი ბენზინის ფასმა თუნდაც რამდენიმე თეთრით დაიკლოს? 2

## ქართული ავიაბაზარი უცხოელებმა „დაიპყრეს“ 4





## კვირას პატრიარქის ნათლული კიდევ 621 ჩვილი გახდება

5 ოქტომბერს ყოვლადწმინდა სამების საკათედრო ტაძარში ჩვილთა საყოველთაო 37-ე ნათლობა გაიმართება. როგორც „ინტერპრესნიუსს“ საპატრიარქოს ახალგაზრდული ცენტრიდან „ძლევაი“ აცნობეს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ნათლული კიდევ 621 ჩვილი გახდება. მონათლულებს საჩუქრად ნათლობის მოწმობა და ჯვარი გადაეცემათ.

ნათლობის დასრულების შემდეგ, ტაძარში პატრიარქი მიბრძანდება და ნათლულებს დალოცავს.

დღეისთვის სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს 19 136 ნათლული ჰყავს. ისინი ჯვარდაწერილი წყვილების ოჯახში მესამე და მომდევნო შვილები არიან.



## როგორ იქმნებოდა ეკონომიკური ზრდის ილუზია 5

## პოლიციამ „კავკასუს ონლაინში“ გარყვნილების ბუდე აღმოაჩინა? 2




### კვირის საკითხავი

## „წიდნ აყარი გარდასულ დღეთა“...



კონსტანტინე გამსახურდიას დედის სილუეტი

6

7



## ნიკო კეცხოველის „იმედიანი მომავალი“

**რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..**

№203-204. შაბათი, 4 ოქტომბერი, 2014 წელი.

რა ხდება?!

# რას „თამაშობს“ ეს „მარაგი“?




**მაინც რამდენი ათეული დოლარით უნდა გაიაფდეს მსოფლიო ბირჟაზე ბარელი ნავთობი, რომ საქართველოში ლიტრი ბენზინის ფასმა თუნდაც რამდენიმე თეთრით დაიკლოს?**

**აქა ვდგავარ და სხვაგვარად არ ძალიმიძსო, — ამის თქმა დღეს ყველაზე თამამად, ალბათ, ბენზინს ან დიზელის საწვავს შეუძლიათ (უფრო სწორად, მათზე ფასის დამდგენ მონოპოლისტს!).**

**უკბილო ხუმრობააო, იტყვის მავანი, და მართალიც იქნება, მაგრამ, მართლაც, ისეთ ხუმრობას რა ვუთხარი...**

გუშინ დილით ტელევიზიით მოვისმინე, რომ საერთაშორისო ბირჟაზე ბარელი ნავთობის ფასი 96 დოლარი გახდა, მალე კი შესაძლოა 90 დოლარამდეც შემცირდესო.

**ბენზინგასამართ სადგურებში კი ლიტრი საწვავი გუშინაც ლამის იმდენივე ღირდა, რამდენიც მაშინ, როცა მსოფლიო ბირჟაზე ერთი ბარელი ნავთობი 110 დოლარზე მეტად ფასობდა!..**

ხომ ყველას კარგად გვახსოვს არცთუ ისე დიდი ხნის წინანდელი ვითარება: გაიაფდებოდა მსოფლიო ბირჟაზე ბარელი ნავთობი, ვთქვათ, 5 დოლარით, ჩვენთან ფასი მაინც ძველებურად ძვირი იყო და გვიანღა დაიკლებდა ხუთიოდ თეთრით.

**— რა ვქნათ, საწვავი ძველი ფასით, ძვირად გვქონდა ნაყიდ-შემოტანილი და, სანამ მისი მარაგი არ ამოიწურება, ბენზინ-დიზელს ვერ გავაიაფებთო!** — ისეთი უმანკო გამომეტყველებით გვიმტკიცებდნენ ხალხის ხარჯზე ხელის გვარიანზე მეტადაც მოთბობას შეჩვეული წურბელები, თითქოს ერთი სული ჰქონდათ საწვავის გაიაფებისა.

მაგრამ საკმარისი იყო, რომ მსოფლიო ბირჟაზე ბარელი ნავთობი გაძვირებულიყო, ჩვენთანაც ფაქტობრივად ლამის ავტომატურად მატულობდა საწვავის ფასი.

**ანუ მსოფლიო ბირჟაზე ნავთობის გაიაფებისას ჩვენთან შემოტანილი საწვავის მარაგი, რომ იტყვიან, წვეთ-წვეთობითღა კლებულობდა, გაძვირებისას კი — შაგრენის ტყავზე მეტი ტემპით!**

ბევრი ფიცი-მტკიცი და შერლოკ ჰოლმსობა არ სჭირდება იმის დადგენას, რომ „მარაგს“ ჩვენს ხარჯზე მავანი წურბელები „ათამაშებდნენ!“

**მაგრამ ახლაც რომ იგივე ვითარებაა?**

**რა ხდება, ბატონებო?!**

**თქვენ მოგმართავთ, ვისაც ამ პროცესების თვალყურის დევნება და მოწესრიგება შეგიძლიათ და გევალებათ კიდეც საკანონმდებლო თუ აღმასრულებელ ხელისუფლებაში!**

ნუთუ ვერ ამჩნევთ იმას, რასაც დიდი ხანია, ყველა კარგად ხედავს?

მოაყუჩეთ, სადაც საჭიროა მონოპოლია-მონოპოლისტები და ყველაფერი მოწესრიგდება!

**თორემ ხალხს ერთობ უჭირს.**

**გაჭირვებული ხალხი კი ძალიან ავი და საშიშია!**

**რუსლან რუსია**




კაკალ გულში

## წერტილოვანი ფრაზები

● არეულობა, დაპირისპირება, აქციები, ცემა—ტყეპა, ქვეყანაში დაძაბული ფონის შექმნა. ამ მიზნით დააფუძნეს ნაციონალებმა „თავისუფალი ზონა“... აქციის აზრს ვერ ვხვდები. მით უმეტეს,რომ წინასწარ ვიცით — დაგეგმილი აქცია არ იქნება იმ მასშტაბების, რომ რამე დააკლოს სექტას. მაგათი დასასრულის დასაწყისი იგნორია.

● გოოდ მორნინგ ეკა ბესელია, ჰავე ა ნისე დაი?

● Сам не знал, клянусь честю. Не падлой буду! - განაცხადა ევროსაბჭოს რეზოლუციის მიღების შემდეგ ღარიბაშვილთან სატელეფონო საუბრისას ლევან ბერძენიშვილმა და ცხვირი გაეზარდა.

● „...თუ ევროსაბჭოში, ჩვენი მეგობარი (?!) ქვეყნების წარმომადგენელი პარლამენტარები თვლიან, რომ თვითონ კანონია უხარისხო და შესაცვლელი, იუსტიციის სამინისტრო მზად არის, ეს კანონი შეცვალოს“!




იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი

ესეც დამოუკიდებელი ქვეყანა და მისი პატრიოტი მინისტრი!

● პირველად ვნახე ტიპებს ბოზებს ეძახდნენ და ისენი ტაშით ხვდებოდნენ. საოცარი ხალხი ხართ, ნაციონალებო!

● მთავრობამ გასაგებად გამოუცხადა შეშფოთებულებს: — ეჭვი გაქვთ რომელიმე საქმეზე? გამოგზავნეთ საკუთარი იურისტები და შეისწავლეთო. არც აგზავნით და თან ენას ატლიკინებთ? ხო და დაგვახიეთ თქვენი რეზოლუცია ერთ ადგილას!

● ვიცით, რომ არ ივლიან ჩვენს ჭკუაზე, მხოლოდ თავისიანებზე იფიქრებენ, მხოლოდ უღირსებს დაასაქმებენ, თვითონ ჭამენ-სვამენ, ამოიყორავენ მუცლებს, ჯიპებით იგრიალებენ, ჩვენ მხოლოდ გამოხრულ ძვლებს გადმოგვიყრიან, ჩვენ კი ვირჩევთ, ვირჩევთ, ვირჩევთ, მხოლოდ ერთი მიზნით, წინამორბედის მოცილება გვინდა! ძალიან საინტერესოა ცხოვრება ამ ვითომ სახელმწიფოში!

● 2 წელი ხელისუფლებამ ხალხი ატყუა, სამართლიანობა არ აღადგინა.

ახლა დადგა დრო, მოსახლეობამ თვითონ აღადგინოს სამართლიანობა.

● რა გაუხურეთ ბესელიას საქმე — იმტვრიოს ახლა ევროსაბჭომ თავი. უარესი ეკუთვნის ეგეთი რეზოლუციისთვის!

● დამტვრეულ ინგლისურს, გამართული მეგრული ჯობიაო.

ძველევროპარლამენტარული ანდაზა.

ამოკრიბა
**გია გაბრიჭიძე**

რკინიგზა

## შემოსავალმა ისტორიულ მაჩვენებელს მიაღწია

**სს „საქართველოს რკინიგზა“ 8 თვის ოპერატიულ მონაცემებს აქვეყნებს. როგორც „ინტერპრესნიუსს“ „საქართველოს რკინიგზიდან“ აცნობეს, მიმდინარე წლის 8 თვის ოპერატიული მონაცემებით, „საქართველოს რკინიგზის„ შემოსავლებმა ისტორიულ მაქსიმუმს მიაღწია და 335,1 მლნ ლარი შეადგინა, რაც 2013 წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელზე 9,3%-ით (28,6 მლნ. ლარი) მეტია.**

**„საქართველოს რკინიგზის“ მონაცემებით, სატვირთო გადაზიდვებიდან შემოსავალი 6,9%-ით (16,3 მლნ. ლარი) არის გაზრდილი და შეადგინა 251,2 მლნ. ლარი, რაც მშრალი ტვირთების და ნავთობპროდუქტების გადაზიდვიდან მიღებული შემოსავლის მნიშვნელოვანი ზრდითაა განპირობებული. კერძოდ, მნიშვნელოვნად გაიზარდა შავი ლითონის და ჯართის, შაქრის, სამრეწველო ნედლეულის და მარცვლეულის გადაზიდვებიდან მიღებული შემოსავალი.**

ინფორმაცია

## ქართველი ჯარისკაცები ავღანეთიდან დაბრუნდნენ

**სამთო-სადაზვერვო ბატალიონის მორიგი ნაკადი ავღანეთიდან საქართველოში დაბრუნდა. ოპერაციების ძალების ქართველი სამხედროები 6 თვის განმავლობაში ყანდაღარის საავიაციო ბაზაზე მსახურობდნენ.**

148 სამხედრო მოსამსახურეს სპეციალური ოპერაციების ძალების მეთაური, ვიცე-პოლკოვნიკი დიმიტრი კიკნაძე ალექსეევკის სამხედრო აეროდრომზე დახვდა. მან ქართველ სამხედროებს სამშობლოში მშვიდობით დაბრუნება მიულოცა და ISAF-ის მისიის წარმატებით შესრულებისთვის მადლობა გადაუხადა.

## მინიგრანტები ინოვაციების ხელშეწყობისთვის

**საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო სამ საგრანტო პროგრამას იწყებს, — განაცხადა პრესკონფერენციაზე ეკონომიკის მინისტრის პირველმა მოადგილემ დიმიტრი ქუმსიშვილმა.**

მისი თქმით, პროგრამები მიმართულია ტექნოლოგიებისა და ინოვაციების კომერციალიზაციისკენ, ნიჭიერი ადამიანების ხელშეწყობისა და ახალი, დამწყები მაღალტექნოლოგიური კომპანიების გაჩენისკენ.

„ისინი ასევე უზრუნველყოფენ ინოვაციებისა და ტექნოლოგიების განვითარებისთვის შესაბამისი ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბებას. საგრანტო პროგრამის ფარგლებში უნივერსიტეტების ბაზაზე ჩამოყალიბდება სამრეწველო ინოვაციების ორი ლაბორატორია, რომლებიც უახლოესი მაღალტექნოლოგიური დანადგარებით აღიჭურვება. უნივერსიტეტები შეირჩევა დამოუკიდებელი საგრანტო საბჭოს მიერ. ასევე იგეგმება უნივერსიტეტების ბაზაზე კერძო ბიზნესთან აქტიური ინტეგრაციის განსახორციელებლად და სამრეწველო ამოცანების შესასრულებლად, პრაქტიკაზე და ბაზარზე ორიენტირებული გამოცდილების მისაღებად ინოვაციების სამი ლაბორატორიის შექმნა“, — განაცხადა დიმიტრი ქუმსიშვილმა.

მისივე ინფორმაციით, ინოვაციების კომერციალიზაციის პროცესის ხელშეწყობის მიზნით, 50 000 ლარამდე მინიგრანტები გაიცემა და სულ 20-მდე პროექტი დაფინანსდება, ხოლო სამ საგრანტო პროგრამაზე, საერთო ჯამში, 1 816 000 ლარი გამოიყოფა.

## ხაჯიმბა აფხაზეთის უსაფრთხოებას გადასასვლელების გაუქმებით აპირებს

**ოკუპირებული აფხაზეთის დე ფაქტო პრეზიდენტი რაულ ხაჯიმბა ენგურზე, ადმინისტრაციულ საზღვარზე გადაადგილების შეზღუდვას და ექვსი „გამშვები პუნქტის“ ნაცვლად ერთის დატოვებას გეგმავს.**

ამის შესახებ ხაჯიმბამ აფხაზეთის ეროვნული ერთობის ფორუმის პოლიტსაბჭოს სხდომაზე განაცხადა. დე ფაქტო პრეზიდენტი თანაპარტიელებს დაჰპირდა, რომ „საქართველოსთან საზღვარს გაამაგრებს“.

**ინტერპრესი**

SIC!

# პოლიციამ „კავკასუს ონლაინში“ გარყვნილების ბუდე აღმოაჩინა

**for.ge-ს მიერ მოპოვებული ინფორმაციით, „კავკასუს ონლაინში“ 1 ოქტომბერს, სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე, კრიმინალური პოლიცია და აღმასრულებლები შევიდნენ. როგორც ჩვენი წყარო ამბობს, ინტერპოლის სათაო ოფისის შეტყობინების საფუძველზე, კრიმინალურმა პოლიციამ „კავკასუსის“ ოფისიდან სერვერები ამოიღო, რომლებზეც განთავსებული იყო დიდი რაოდენობით ბავშვთა პორნოგრაფიული მასალები.**

მოგეხსენებათ, რომ 2010 წელს სააკაშვილის ხელისუფლება ძალოვანი სტრუქტურების, მერიის, მარეგულირებელი კომისიის და „სილქნეტის“ ზეწოლით დაეუფლა „კავკასუს ონლაინს“. ფირმის კანონიერი მფლობელი, ბიზნესმენი მამია სანადირაძე ხელისუფლების შეცვლის შემდეგ უშედეგოდ ითხოვს სამართლიანობის აღდგენას. სანადირაძის თქმით, მას იმედი აქვს, რომ „ადრე თუ გვიან, მიუხედავად იმისა, რომ დღევანდელ მთავრობაშიც სააკაშვილის „ჯიბის“ ბიზნესმენებს გამოუჩნდათ მფარველი, სამართალი იზეიმებს“. თუმცა, სანადირაძე არც იმას გამორიცხავს, რომ „დღევანდელმა მფლობელებმა ფირმა გაკოტრებამდე მიიყვანონ, რადგან, ისინი მხოლოდ ძარცვაზე და „ატკატებზე“ არიან ორიენტირებულნი“.

**„ადამიანები, რომლებმაც „კავკასუს ონლაინი“ ჩაიგდეს ხელში, ადრე „მეხინკლეობით“ იყვნენ დაკავებულები „შემოიხედე გენაცვალეს“ ქსელში და სხვადასხვა რესტორნებში. დღეს ერთი მათგანი — ლევან ყარამანაშვილი ტელეკომპანია „რუსთავი-2“-ის წილის მფლობელია, ხოლო მეორე — ხვიჩა მაქაცარია „კავკასუსის“ გარდა მრავალი ბიზნესის, მათ შორის თბილისის ყვითელი სამარშრუტო ტაქსების მფლობელია, რომელიც „კავკასუს ონლაინის“ სახელზე გამოტანილი სესხით შეიძინა.**

იხ. 11 გვ.

**მმართველი გუნდის ერთ-ერთი ლიდერი გიორგი ცაგარეიშვილი მიიჩნევს, რომ ხელისუფლებაში ყოფნის ორი წელი მძიმე იყო, მაგრამ დეპუტატი პროგნოზირებს, რომ მომავალ წელს ქვეყანა წელში გასწორდება. კანონმდებელი თვლის, რომ ხელისუფლებაში კარგად მოლაპარაკე თავების დეფიციტია, რადგან მისი თქმით, უამრავი საქმეა გაკეთებული, საზოგადოებამ კი ეს არ იცის.**

**თუ რას ფიქრობენ განვლილ ორ წელზე კოალიციაში, ამის გარკვევის მიზნით, for.ge გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის თავმჯდომარეს ესაუბრა:**

**— ორი წელი გავიდა, რაც „ქართული ოცნება“ ხელისუფლებაში მოვიდა. როგორ აფასებთ, თქვენს მმართველობას?**

— რთული ორი წელი იყო და ბუნებრივია, ასეც იქნებოდა, რადგან ხელისუფლებაში ყოფნის დიდი გამოცდილება არ გვქონდა. ამ ორი წლის მანძილზე, ბევრი რამ ახალი და მიუღებელი იყო. ჩვენს მიმართ ბევრი უსამართლო კრიტიკა გამოითქვა, მაგრამ ბევრი შეცდომაც იქნა დაშვებული. ამას ყველაფერს ანალიზი სჭირდება. „ქართული ოცნების“ ყველაზე დიდი მონაპოვარი ის არის, რომ დღეს ადამიანს ხმამაღალი სიტყვის თქმისთვის არ კლავენ, არ აპატიმრებენ და არ დევნიან. ბევრ მიღწევასა და ბევრ შეცდომაზე შეგვიძლია საუბარი, მაგრამ ვინც არ მუშაობს და წამოკოტრიალებულია, ის შეცდომასაც არ უშვებს, რადგან თავად ბუნების შეცდომაა. 1 ოქტომბრის მოგებაში დიდი დამსახურება ივანიშვილს აქვს. მის ღვაწლს ხაზს ვუსვამ, რადგან რომ არა ეს კაცი, ვერ გავერთიანდებოდით და ნაციონალურ მოძრაობას ვერ დავამარცხებდით. ივანიშვილის გარეშე უიმედობის ათწლიან ეპოქას ვერ დავძლევდით, რომელსაც უამრავი ადამიანი შეეწირა. ბევრი მიმართულებით არის გიგანტური ნაბიჯები გადადგმული.

**— კონკრეტულად, ხელისუფლებას რომელ სფეროებში აქვს მიღწევები და სად ჩავარდნები?**

— 1 ოქტომბრამდე ქუჩაში რას გამოვყავდით? — უმუშევრობას, დაბალ პენსიას, ჯანდაცვას, დაზღვევას, უმუშევრობას. ეს ყველაფერი, არ გვაწუხებდა? — გვაწუხებდა, მაგრამ სხვა დიდი პრობლემის წინაშე ვიდექით. მაწუხებდა სიცოცხლის უფლება, ადამიანის უფლებების უხეში დარღვევა, თავისუფალი სასამართლოს არარსებობა, პრესაზე ზეწოლა, პირად ცხოვრებაში ჩარევა, პატიმრების უფლებები და ა.შ. ყველა ეს უფლება დარღვეული იყო. თავისუფალი პრესა და სასამართლო მიწასთან იყო გასწორებული. უსაშველოდ ბევრი რამის ჩამოთვლა შემიძლია.

ახალი ხელისუფლების პირობებში თავისუფალი სასამართლო დამკვიდრა და მოსამართლეს ტელეფონზე არავინ ურეკავს. მახსოვს პროცესები, სადაც მოსამართლეს პირდაპირ ყურზე აჯდნენ. ადეიშვილს სათვალთვალო კამერები ეყენა და ონლაინ რეჟიმში სასამართლო პორცესებს აკვირდებოდა. ეს ლეგენდა არ გეგონოთ, წულუკიანი მომიყვა. წულუკიანს ჰკითხეთ, „ბერია - ადეიშვილის“ ოთახში, რა სისტემა დახვდა და სად იყო თუნდაც პარლამენტის სერვერები. დღეს, საქართველოში ადამიანის უფლებები არ ირღვევა და თუ ირღვევა, უმკაცრესი რეაგირება ხდება. ამასთანავე, პატიმრებს უკანალში არც ცოცხს უკეთებენ და არც სიგარეტის ნამწვავებს. პოლიტიკურმა ოპონენტებმა ევროპაში რაც უნდა იყბედონ, ფაქტია, რომ საქართველოში არჩევნები არ ყალბდება და ხალხს არავინ ატერორებს. წლების მანძილზე, ადამიანები ქუჩაში უგზოობის და უშუქობის გამო არ გამოდიოდნენ. იმ დროს შევნატრი, როცა ხალხი ქუჩაში უმუშევრობის, ხელფასების შემცირების და ჯანდაცვის გამო გამოვა, ისევე როგორც ევროპელები გამოდიან. ასეთი საქართველო მინდა. 2016 წელს, როცა არჩევნები მოვა, სხვა თემებზე უნდა ვისაუბროთ.

რაც შესრულდა, საზოგადოებას უნდა შევახსენოთ, მაგრამ არ დავაყვედროთ, რადგან ასეთ შემთხვევაში ნაციონალურ მოძრაობას დავემსგავსებით, რომლებიც ამბობდნენ, რომ თურმე გზა დააგეს და წყლის მილები დაამონტაჟეს. შეიძლება, მათ დროს რაიმე კეთდებოდა, მაგრამ მუდმივად იმას გვახსენებდნენ, რომ ერთადერთები და განუმეორებლები იყვნენ. ხელისუფლებაში ის ადამიანი უნდა მოვიდეს, ვინც არჩევნებში დაგვამარცხებს. როცა ხელისუფლებაში მოდიხარ, წასვლის დრო უნდა იცოდე. ჩემთვის წასვლის დრო 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების ჟამია.

**— ანუ, თქვენ ფიქრობთ, რომ ხელისუფლებიდან 2016 წლის არჩევნების შედეგად წახვალთ?**

— ეს ჩემმა ამომრჩეველმა უნდა განსაზღვროს. ხალხმა ან კარებისკენ უნდა მიმითითოს, ან ისევ ნდობა გამომიცხადოს და მითხრას, მეტ-ნაკლებად წარმატებით იმუშავე და ხელისუფლებაში დარჩიო. მესამე მოწვევის პარლამენტის წევრი ვარ და ე.ი. რაღაც გამიკეთებია, წინააღმდეგ შემთხვევაში, აქ არავინ ამირჩევდა. შეიძლება ვიღაცამ თქვას, საჭირო დროს საჭირო ადგილზე აღმოჩნდიო, მაგრამ პარლამენტში ასე ვერ მოხვდებით. იცით, ამ ბრძოლაში რამდენი მეგობარი დავთმე, რომლებიც საჭირო დროს საჭირო ადგილას არ აღმოჩნდნენ? იქ უნდა იყო, სადაც ხალხს უჭირს. ზოგიერთს ცდუნებამ სძლია და სამწუხაროდ, ჩემს გარშემო ბევრი ასეთი იყო.

**— თქვენ ხელისუფლების მიღწევებზე საუბრობთ, მაგრამ ოპონენტები თქვენს სისუსტედ ასახელებენ — კრიმინალს, ეკონომიკურ სტაგნაციას, პრემიების გაცემას, ხელისუფლებაში არსებულ პოლიტიკურ კრიზისს, ციხეში ე.წ. კრიმინალების გაძლიერებას და ა.შ.**

— რომელი ბრიყვი იტყვის, რომ ეკონომიკაში პრობლემები არ არის? ფინანსების მართვის სფერო თავიდან ბოლომდე მონოპოლიზებული დაგვხვდა. ამ სფეროს გაჯანსაღება და მოჯადოებული წრიდან გამოყვანა ხდება. სამწუხაროდ, ამას ორი წელი არ ეყო. არაორდინალური მდგომარეობა დაგვხვდა, როცა ნაციონალური მოძრაობის ერთი დიდი „შავი სალარო“ არსებობდა და იქ კეზერაშვილის ხელმძღვანელობით ასობით მილიონი ლარი ილექებოდა, რომელიც ოფშორულ ზონებში მიდიოდა. ამ პროცესს პატრონი და გამკითხავი არავინ არ ჰყავდა. თუ ამას იკითხავდი, ან ცხრაკლიტულში გამოგკეტავდნენ ან მომკლავდნენ.

რამდენიმე წელი არის საჭირო, რომ ბიზნესი თავისუფალი ბაზრის პრინციპებზე გადავიდეს. ჩვენი ხელისუფლების პირობებში, უმნიშვნელოვანესია, რომ ბიზნესმენს პროკურატურაში არავინ დაიბარებს და არ ეტყვის, რომ მრავალი მილიონი ან სახელმწიფოს უნდა აჩუქოს, ან სოფელ უდეში ბოსელი უნდა იყიდოს და მასში შვიდი მილიონი ლარი გადაიხადოს. თუ ამას არ გავაკეთებთ, დანარჩენი ბიზნესს უნდა ვაცადოთ.

ევროპის ბაზრის გახსნის ძალიან დიდი იმედი მაქვს. საექსპორტო-საიმპორტო სიმძლავრეების ამუშვებას ველი. იქ, სადაც ბიზნესზე არ ძალადობენ, ის გზას აუცილებლად

# ხალხს უნდა გავაგებინოთ, რაც გაკეთდა!



გაიკვალავს. შარშანდელი მდგომარეობიდან გამოვდივართ და მომავალი წელი იქნება უმნიშვნელოვანესი, რადგან საბოლოოდ წელში გავსწორდებით. პირველი წელი უმძიმესი იყო. მილიარდობით დოლარი ოფშორულ ზონებში იყო გადაქაჩული. ამ ოფშორულ ზონებს კი წითელ საცვლებში გამოწყობილი, ველოსიპედზე შემომხტარი, ქოქოსის ნაყოფით ხელდამშვენებული, ძებნილი სააკაშვილი კურირებს. მას რაღა შერჩა? — წითელნიფხვიანი, ხელში ქოქოსიანი და ველოსპორტსმენი მიხეილი დარჩა, რომელსაც ზურგსუკან რამდენიმე მილიონი აქვს გადანახული.

**— თუმცა, თავად ამბობს, რომ ამერიკაში მეტროთი დადის...**

— მწამს, რომ თქვენ მისი არ გჯერათ.

**— თქვენი ოპონენტები ამბობენ, რომ საქართველო იზოლაციაში არის და შევარდნაძის დროინდელ ქაოსს უბრუნდება. მსგავს სურათს, თქვენც ხედავთ?**

— სრულ იზოლაციაში ვართ? — ქვეყანაში, 2013 წელს, 5 მლნ 392 303 ტურისტი შემოვიდა, რაც 22 პროცენტით მეტია ანალოგიურ პერიოდთან შედარებით. მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის ანგარიშის მიხედვით, ევროპაში ტურიზმიდან შემოსავლების კუთხით, ყველაზე მაღალი შემოსავალი საქართველომ დააფიქსირა. სჯობს, ამ სტატისტიკას მანიაკების და კრიმინალების პარტიის წევრი ზურაბ ჯაფარიძე გაეცნოს, რომელიც გებელსივით ქაჩავს თვალებს.

**— ჯაფარიძე ამბობს, რომ თქვენი ხელისუფლება სტატისტიკას აყალბებს...**

— ეს მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის 2013 წლის სტატისტიკაა. საქართველო დასათვალიერებლად ათ საუკეთესო რეკომენდირებულ ქვეყნებს შორის არის და თურმე, აქ კრიმინალი გაიზარდა, სექსუალური მანიაკები დაძრწიან და ეკონომიკა ინგრევა. ბაკურიანში ხელოვნური გათოვლიანების სისტემის მოწყობა მიმდინარეობს და უამრავი ტურისტი გვეწვევა. გუდაურში სეზონი რომ ჩავარდა, იმედია, ეს ხელისუფლებას არ დაბრალდება, რადგან ღრუბლებში ივანიშვილი არ ზის და წვიმას და თოვლს არ ხელმძღვანელობს. კანდელაკს ყველგან ივანიშვილი ელანდება, მაგრამ ეს ასე არ არის. ამას გარდა, მნიშვნელოვანია, რომ ანაკლიის ღრმაწყლოვანი ნავსადგურის მშენებლობა დაიწყება.

**— თუმცა, ანაკლიის ნავსადგურის გაიგივება ხდება ლაზიკის პორტთან...**

— ანაკლიასა და ლაზიკას შორის ისეთი განსხვავებაა, როგორც სააკაშვილსა და ივანიშვილს შორის. ლაზიკაში ქალაქი შენდებოდა და ჭარბტენიანი ზონის ამოშრობა ჰქონდათ განზრახული, რითაც რამსარის საერთაშორისო შეთანხმება დაირღვეოდა. პორტის მშენებლობის იდეა ჯერ კიდევ შევარდნაძის დროს იყო, რადგან გემის შესასვლელად ღრმა ადგილი არც ფოთშია და არც ბათუმში. ერთ დღეს, სააკაშვილმა გაიღვიძა, ჩათვალა, რომ პეტრე პირველი იყო და ახალი ფანჯრის შექმნა განიზრახა ევროპაში. ლაზიკიდან ევროპისკენ გაჭრილი ფანჯარა ვერაფრით ვერ შეიქმნებოდა, რადგან ეს ეკოლოგიურ კატასტროფამდე მიგვიყვანდა. ლაზიკის შევსებას ხუდონის მშენებლობის შედეგად გამოყრილი სვანებით აპირებდნენ.

**— ორი წელია, რაც ხელისუფლებაში ხართ და კიდევ ორი წელი დაგრჩათ. დარჩენილ ვადაში, რის გაკეთებას აპირებთ?**

— ამ ხელისუფლების მთავარი ნაკლია, რომ საზოგადოებასთან შესაბამისი კონტაქტი ვერ დავამყარეთ. ბევრი კარგად მოლაპარკე ადამიანი გვჭირდება, რადგან ხელისუფლებაში ასეთების დეფიციტია. უამრავი საქმეა გაკეთებული და ეს საზოგადოებამდე უნდა მივიტანოთ. შეიძლება ბევრმა არ იცის, თავდაცვის მინისტრის ინიციატივით, ქვეყნის ტერიტორიებისთვის დაღუპულთა ოჯახებს 500 ლარი დაენიშნათ. არჩევნებიდან ძალიან მალე კვლევა ჩატარდა, სადაც 80 პროცენტი მივიღეთ. მიხარია, რომ ეს პროცენტები იკლებს, რადგან არ შეიძლება, რომელიმე ლიდერს ან პარტიას 80 პროცენტი ჰქონდეს.

ამომრჩეველთა დიდ ნაწილს ნაციონალების მიჯირყვნა უნდა, რადგან გივი თარგამაძეებმა და სულით მახინჯმა სხვა პირებმა ხალხს სული ამოხადეს. საზოგადოების დიდ ნაწილს არც ის მოსწონს, რომ ძალიან ბევრი კრიმინალი დეპუტატის მანდატს ამოეფარა უკან. სამართლიანობის აღდგენის ტემპი დღესაც არ მომწონს.

**— თქვენ ხართ ხელისუფლებაში და რა გიშლით ხელს, სამართლიანობის აღდგენის ტემპი დააჩქაროთ?**

— ორი პროკურორი ამიტომ შეიცვალა და ტემპი, რომელიც ახალმა შემადგენლობამ აიღო, დამაკმაყოფილებელია. ბევრი მნიშნელოვანი საქმეა გადაგზავნილი სასამართლოში და ადეკვატური სასჯელები წესდება. საგამოძიებო პროცესი ინტენსიურად უნდა გაგრძელდეს. როცა ევროფორუმზე ნაციონალების გულშემატკივრებს ვხედავ, ეჭვი მიჩნდება, რადგან ხელი რაღაცაზე შეიძლება ქართველსაც წაუცდეს, ამერიკელსაც და ევროპელსაც.

**— ანუ, თქვენ ფიქრობთ, რომ ნაციონალები ევროპელების მხარდაჭერას, ფულით მოიპოვებენ?**

— ეს გამოძიების საქმეა. უშიშროების საბჭოდან 22 მლნ ლარია გატანილი და ეს თანხები სად იხარჯებოდა, კაცმა არ იცის.

**— ხელისუფლებაში თქვენ ხართ და რატომ ვერ დაადგინეთ, თუ სად დაიხარჯა 22 მლნ ლარი?**

— ამ საქმეზე გამოძიება უკვე დაწყებულია. არასამთავრობო ორგანიზაციები ჩვენ რომ გვაკრიტიკებენ, ზაზა დავითაია რომ სცემეს, შეფასება ამ საკითხზე რატომ არ გააკეთეს? ველოდები, ეკა გიგაური როდის გამოვა და შეფასებას გააკეთებს. კარგი გაგებით, ბევრი მაყეფარი ძაღლი გვჭირდება, მაგრამ ყელმოღერებით მოსაუბრე გიგაური სად არის და რას ამბობს დავითაიას ცემის ფაქტზე? ზოგიერთი არასამთავრობო ხელისუფლებას ჯიბეში კი ნუ ჩაუდგება და მხარედ კი ნუ იქცევა, სჯობს, საქმეს მიხედონ. ზოგიერთი არასამთავრობო მხარედ ყალიდება და ნდობას კარგავს.

**— კრიტიკას აგრესიულად ხვდებით, რატომ?**

— აგრესიული არ ვარ, მაგრამ თანასწორობა მინდა, ყველგან დავინახო. შენიშვნას რომ მაძლევ, კარგია, მაგრამ ადამიანის ცემაზე ხმა არ უნდა ამოიღო? ე.წ. ოპოზიციურ პარტიას ზონდერჯგუფები ჰყავს, სადაც ნაძირლები არიან. ამას გარდა, კრიმინალები ადვოკატთა ასოციაციას აფარებენ თავს და მინდა, ადვოკატთა ასოციაციის პრეზიდენტს ვკითხო, ასოციაცია კრიმინალების თავშესაფარი გახდა? თვალებს, რატომ ხუჭავენ?

**თეონა მანაგაძე**

**ალიანჩალიანი**

## თბილისის მთავრობა შპს „ჰერმესის“ პრობლემებს განიხილავს

**როგორც „ჰერმესის“ წარმომადგენელმა მიხეილ ძაგანიამ განაცხადა, კომპანია 31 საქალაქო სასაფლაოს ფლობს. მისივე განცხადებით, სასაფლაოებზე არის ფასიანი და უფასო ზონები. პრობლემები არის საგზაო ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებით. როგორც „ჰერმესის“ წარმომადგენელი აღნიშნავს, საკმაოდ მძიმე მდგომარეობაა ადმინისტრაციულ შენობასთან დაკავშირებითაც. მისივე თქმით, 31 სასაფლაოდან მხოლოდ 13-ში არის ადმინისტრაციული შენობა, დანარჩენ შემთხვევაში შენობები საკმაოდ მძიმე მდგომარეობაშია.**

**ასევე პრობლემები არსებობს ნაგვის ნარჩენების გატანასთან დაკავშირებით, რადგან როგორც „ჰერმესის“ წარმომადგენელი განმარტავს, ცუდი საგზაო ინფრასტრუქტურის გამო, ხშირ შემთხვევებში შეუძლებელია კონკრეტულ ადგილზე ნაგვის მანქანის მისვლა და იქიდან ნარჩენების გატანა. ძაგანიას განცხადებით, მოთხოვნაა სარიტუალო დარბაზთან დაკავშირებითაც.**

**„ხშირად მოსახლეობა მოგვმართავს თხოვნით, თუ არის სადმე სარიტუალო დარბაზი, სადაც შეიძლება მიცვალებულის დასვენება, თუმცა, ჩვენ ჯერჯერობით აღნიშნული სერვისი არ გვაქვს“, — განაცხადა „ჰერმესის“ წარმომადგენლებმა. მისივე ინფორმაციით, სასაფლაოებთან არ არის საპირფარეშოები, ასევე არ არის წყალი. იგი აცხადებს, რომ შესაძლებელია გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიასთან დაიწყოს მოლაპარაკებები, რომ სასაფლაოებზე იყოს წყალი.**

**ვითარება**

# ქართული ავიაბაზარი უცხოელებმა „დაიპყრეს“

**სექტემბერი საქართველოს ავიაბაზრისათვის საინტერესო სიახლეებით დატვირთული აღმოჩნდა: ქართული ავიაბაზრით ერთიმეორის მიყოლებით დაინტერესდნენ არაბული, ირანული, რუსული კომპანიები — სულ მალე ირანული ავიაკომპანია „მაჰან ეარი“ საქართველოს მიმართულებით ფრენას დაიწყებს. ხუთწლიანი პაუზის შემდეგ საქართველოში ბრუნდება რუსული „აეროფლოტი“, რომელიც რეისებს 28 ოქტომბრიდან განახორციელებს. „აეროფლოტს“ კვალდაკვალ მოჰყვა რუსული ავიაკომპანია „გლობუსი“, რომელიც მოსკოვის მიმართულებით ფრენების დაწყებას 2 ნოემბრიდან აპირებს. არანაკლებ აქტიურობს არაბული დაბალბიუჯეტიანი ავიაკომპანია „ეარ არაბიაც“, რომელიც ავიარეისებს ოქტომბრის ბოლოს, თბილისის საერთაშორისო აეროპორტიდან დაიწყებს. ამასთან ერთად გავრცელდა ინფორმაცია, რომ შესაძლოა საქართველოსა და ჩინეთს შორის პირდაპირი რეისები დაინიშნოს, რასაც აუცილებლად მოჰყვება რომელიმე ჩინური ავიაკომპანიის შემოსვლა.**

ბოლო წლებში ქართულ ავიასივრცეში უცხოური კომპანიები ყოველთვის აქტიურობდნენ, ახლა კი მათ ჩვენი ავიაბაზრის დიდი წილი აქვთ „დაპყრობილი“: „თურქეთის ავიახაზები“, „პეგასუსი“, „ატლასჯეტი“, „ალიტალია“, „ფლაიდუბაი“, „ალმაატა“ — საქართველოში ოპერირებენ ჩეხური, ესტონური, ყაზახური კომპანიები... რაც შეეხება ქართულ ავიაკომპანიებს, მათი წილი მშობლიური ცის ქვეშ საკმაოზე მეტად მოკრძალებულია. საქართველოში დღეს ძირითადად ორი ქართული კომპანია ოპერირებს — „ჯორჯიან ეარვეისი“ და „ფლაილისტა“. სწორედ ისინი დაფრინავენ როგორც საერთაშორისო, ასევე შიდა ბაზარზე. მართალია, ქვეყანაში რამდენიმე მცირე ავიაკომპანიაც საქმიანობს, მაგრამ ისინი შიდა რეისებს ახორციელებენ და ამ სფეროში ფონს ვერ ქმნიან.



„ჯორჯიან ეარვეისი“ ანუ ავიაკომპანია „აირზენა“ 1993 წლის სექტემბერში დაარსდა, ერთი წლის შემდეგ კომპანიას სახელი შეეცვალა და „ჯორჯიან ეარვეისი“ დაერქვა, თუმცა, ძველი სახელწოდება ჯერ კიდევ ფართოდ გამოიყენება. აშკარაა, რომ ბოლო წლების განმავლობაში ქართულ ავიაბაზარზე „აირზენა“ ლიდერის პოზიციას არ თმობდა.

„ერთიანი საჰაერო ცის შეთანხმების“ შესაბამისად, რომელიც სამოქალაქო ავიაციის დარგში წარმოადგენს „ასოცირების ხელშეკრულების“ შემადგენელ ნაწილს, საქართველოს საავიაციო კანონმდებლობაში მთელი რიგი ცვლილებები მიმდინარეობს. ცვლილებები გულისხმობს ევრორეგულაციებისა და სხვადასხვა დირექტივების დანერგვას, ასევე ფრენის უსაფრთხოების სტანდარტების სრულ შესაბამისობაში მოყვანას თანამედროვე საერთაშორისო და ევროპულ მოთხოვნებთან. აუცილებელი გახდა ქართული ექსპლუატანტის სერტიფიკატის მფლობელი 11 ავიაკომპანიის რესერტიფიცირება და ამ პროცესის დასრულებამდე სამოქალაქო ავიაციის სააგენტომ დროებით შეაჩერა ახლად დაფუძნებული ქართული ავიაკომპანიებისგან ექსპლუატანტის სერტიფიკატის მიღებისთვის განაცხადების მიღება. სამოქალაქო ავიაციის სააგენტომ ორ ქართულ ავიაკომპანიას — „ეარ კავკასუსსა“ და „ეი ჯი აის“-ს, ასევე ნატახტარის საავიაციო სკოლას ლიცენზია უკვე შეუჩერა, რადგან ისინი კანონით დადგენილ სტანდარტებს ვერ აკმაყოფილებდნენ.

საქართველოს სამოქალაქო ავიაციის პროფესიონალთა გაერთიანების თავმჯდომარე გიორგი კოდუა ქართული ავიაკომპანიების სიმცირეს არაჯანსაღი კონკურენციით ხსნის: „20 წელია, ავიაბაზარზე ვარ და კარგად ვიცი, რაც ხდებოდა და ხდება. ედუარდ შევარდნაძისა და კახა თარგამაძის დროს, როცა კორუფცია ყვაოდა, ქართული ავიაკომპანიები ჩვენი ავიაბაზრის 60 %-ს ფლობდნენ, მართალია მათ სახელმწიფო აკონტროლებდა, მაგრამ უცხოური კომპანიები აქ ფეხს ვერ იკიდებდნენ, მარტო „თურქიშ ეარლაინი“ დაფრინავდა. „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ მოხდა კარგიც და ცუდიც: კარგი იყო ის, რომ ბაზარი გაიხსნა და ავიაკომპანიებს შეეძლოთ, ემოქმედათ. ავიასივრცეში შემოვიდა „კავკასიის ავიახაზები“, ჩვენც დავიწყეთ ოპერირება და ქართული ავიაბაზარი უფრო ღია გახდა. ბაზარზე იყო „თბილავიამშენი“ და სხვა კომპანიები, რომლებსაც, მართალია უმნიშვნელო წილი ჰქონდათ, მაგრამ ჩვენი ავიაკომპანიების წილი მთლიანობაში იყო 50 პროცენტი, მეორე 50 პროცენტი კი — უცხოურ კომპანიებს ეკავა. თუმცა, ფარული გარიგებები მაშინაც ხდებოდა, ასევე ხდებოდა „აირზენას“ ლობირებაც. ფარული გარიგებები ხდებოდა შევარდნაძისა და თარგამაძის დროს, ეს ტენდენცია გააგრძელა ვანო მერაბიშვილმა, მაგრამ გარიგებები არ მოშალეს ღარიბაშვილმა და ჭიკაიძემაც. ფარული გარიგებები ახლაც გრძელდება, ამის გამო კი ქართული ავიაცია ზარალობს, ამიტომ, თუ ადრე ქართული მხარე ფლობდა ჩვენი ავიასივრცის 50 პროცენტს, ახლა მხოლოდ 17-18%-ს ფლობს. იყო დრო, როცა ავაიკომპანიები ერთმანეთის გაკოტრებასა და ჩაძირვაზე ხარჯავდნენ ფულს და არა ამ ბაზრის განვითარებაზე. „აირზენას“ ფულიც კონკურენტების ჩაძირვასა და გაკოტრებაში მიდიოდა. ნორმალური პროცესი რომ ყოფილიყო, ქართული კომპანიების წილი ქართულ ავიასივრცეში გაიზრდებოდა და უცხო კომპანიების ინტერვენცია აღარ მოხდებოდა. იმ დროს, როცა ჩვენ ერთმანეთს ვებრძოდით, „თურქეთის ავიახაზები“ გონივრულად მოქმედებდა და სიხშირეებს ამატებდა. „თურქულ ავიახაზებს“ მოჰყვა „პეგასუსი“, მერე კი — „ატლასჯეტი“. აქ შემოვიდნენ იტალიური, არაბული, ყაზახური, ჩეხური, ესტონური კომპანიები... ერთი სიტყვით, ქართული ბაზარი უცხოურმა კომპანიებმა დაიპყრეს. „აირზენა“ კი ყოველთვის პრივილეგირებული იყო: ჯერ შევარდნაძეს ატარებდნენ, მერე სააკაშვილს, ახლა კი ეს კომპანია ღარიბაშვილს ატარებს. მაგათ ჰგონიათ, თუ ქართულ კომპანიებს მოერევიან, თვითონ გაძლიერდებიან, მაგრამ მსოფლიოში სულ სხვა პროცესი მიმდინარეობს. ჩვენთან კი ასეა: ვისაც შეუძლია ღარიბაშვილთან მივიდეს და ყურში ჩასჩურჩულოს, ის იმარჯვებს, ხოლო ვისაც არა — ყველანი მიგდებულები ვართ. ქართულმა ავიაკომპანიებმა ერთმანეთი არ დაინდეს და შედეგიც აშკარაა: რეისი, რომელიც თავის დროზე მე არ დამითმო „აირზენამ“, წაიღო სხვა, უცხოურმა კომპანიამ. ამჟამად ჩვენი ავიაბაზრის 18 პროცენტი სწორედ „აირზენასია“, „ფლაილისტა“ ამ სფეროში უმნიშვნელო როლს ასრულებს, დანარჩენ წილს კი უცხოელები აკონტროლებენ. „აირზენა“ ჩვენ დაგვერია და გაგვაჩერა, ქართული კომპანიების ადგილი კი უცხოელებმა დაიკავეს. ამ კინკლაობაში ქართული ავიაბაზარი ვერ დაწინაურდა. ჩვენი კომპანიები უცხოელებს ვერც ფასით უწევენ კონკურენციას, ვერც სერვისით და ვერც ერთი სხვა პარამეტრით. ავიაცია არ არის თბილისი-ხაშური, ან თბილისი-გორი, ამ სფეროში ქვეყანა მსოფლიო დონეს უნდა აკმაყოფილებდეს“.

კომპანია „ჯორჯიან ეარვეისის“ გენერალური დირექტორის იასე ზაუტაშვილის აზრით, რეგულაციების დაწესება ქართულ ავიაბაზარზე აუცილებელია: „გიორგი კოდუას ვეთანხმები იმაში, რომ ქართულ ავიაბაზარზე ადგილობრივი კომპანიები უნდა მომრავლდნენ, მაგრამ მის მიერ ჩვენი კომპანიის კრიტიკას ნამდვილად ვერ დავეთანხმები. ჩვენს გარდა ქართულ ავიაბაზარზე „ფლაილისტა„ და სხვა კომპანიებიც არიან, რომლებიც რეისებს ასრულებენ თუშეთში, მესტიაში, საქართველოს სხვა ადგილებში. ასე რომ, ქართულ ავიაბაზაზე მარტო „ჯორჯიან ეარვეისი“ არ საქმიანობს.

აქვე აუცილებლად უნდა შევეხო საკითხს, რომელსაც ძალიან დიდი კამათი მოჰყვა: კერძოდ, მთავრობა ავიაკომპანიების სერტიფიცირების პროცესს დროებით აჩერებს. ეს გადაწყვეტილება მე სრულიად სამართლიანად მიმაჩნია. რატომ? — ახლავე აგიხსნით: დაუშვებელია ნებისმიერმა ადამიანმა 200-ლარიანი სერტიფიკატი აიღოს და ავიაკომპანია გახსნას. ავიაკომპანიის ფლობისათვის საჭიროა რეგულაციების, ნორმებისა და მოთხოვნების შესრულება. ეს მოთხოვნები დაწესებულია ყველა იმ საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ, რომელსაც ამ სფეროში სიტყვა ეთქმის. საქართველოში არსებობენ ადამიანები, რომლებმაც ბოლო სამი წლის განმავლობაში ოთხჯერ გახსნეს და დახურეს ავიაკომპანია, ხოლო მათ მიერ დაგროვილი ვალები სახელმწიფოს გასასტუმრებელი გახდა. ეს მოხდა სწორედ იმიტომ, რომ ბოლო წლების განმავლობაში ყოველგვარი შეზღუდვების გარეშე გაიცემოდა სერტიფიკატები ჩვენს სფეროში. ამან კი იქამდე მიგვიყვანა, რომ უსაფრთხოების ზომების დარღვევის გამო IKAO-მ საქართველო „შავ სიაში“ შეიყვანა და გაუთანაბრა ისეთ სახელმწიფოებს, როგორიცაა ბოტსვანა, უგანდა და სხვა აფრიკული ქვეყნები. ამიტომ, შეზღუდვები უფრო ადრეც უნდა მიეღოთ, სანამ „შავ სიაში“ შეგვიყვანდნენ. მართალია, ჩვენ განვითარებად ქვეყანაში ვცხოვრობთ და ქართული ავიაცია ვერც ნორვეგიას გაუტოლდება, ვერც დანიას, ან საფრანგეთს, მაგრამ ძირითადი ნორმები მაინც უნდა დავიცვათ. ავიაკომპანია არ არის რესტორანი, ან შპს, რომელიც შეიძლება დღეს გახსნა და ხვალ დახურო.

**ხათუნა ჩიგოგიძე**

**მოჭარბებული ოპტიმიზმი**



# რეიტინგი და ხანდაზმულთა საჭიროებები

**1 ოქტომბერს, გაეროს ხანდაზმულთა საერთაშორისო დღეს, HelpAge international-მა გლობალური agewatch ინდექსი გამოაქვეყნა. ინდექსი სოციალური და ეკონომიკური კეთილდღეობის მიხედვით 96 ქვეყანაში აფასებს ხანდაზმულთა მდგომარეობას. რეიტინგში საქართველომ 28-ე ადგილი დაიკავა და, გასულ წელთან შედარებით, 9 ადგილით გაიუმჯობესა პოზიცია.**

2014 წლის agewatch-ის ინდექსში ნორვეგია ლიდერობს. რეიტინგის პირველ ათეულში მყოფ ქვეყნებს შორის არიან ასევე: შვედეთი, შვეიცარია, კანადა, გერმანია, ნიდერლანდები, ისლანდია, ამერიკის შეერთებული შტატები, იაპონია და ახალი ზელანდია. ხანდაზმულთა მდგომარეობის მიხედვით, საქართველოს რეიტინგში ჩამორჩებიან სლოვაკეთი, მექსიკა, არგენტინა, პოლონეთი, იტალია, თურქეთი და ასე შემდეგ. ყველაზე ცუდი მაჩვენებელი ავღანეთს აქვს, რომელსაც ბოლო, 96-ე, ადგილი უჭირავს. Help Age international-ის ანგარიშის მიერ განსაზღვრული რეიტინგების მიხედვით, ამა თუ იმ ქვეყნის ეკონომიკური ზრდა, თავისთავად, არ არის ხანდაზმული ადამიანების კეთილდღეობის საფუძველი. ამიტომ აუცილებელია დაბერების პროცესის შესაბამისი სახელმწიფო პოლიტიკის გატარება.

გაეროს მოსახლეობის ფონდის საქართველოს ოფისის ხელმძღვანელი ლელა ბაქრაძე ამბობს, რომ უახლოეს მომავალში საქართველოს ექნება სამოქმედო დოკუმენტი, „გზამკვლევი დაბერების მეინსტრიმინგისთვის საქართველოში“, რომელიც ეყრდნობა მადრიდის საერთაშორისო სამოქმედო გეგმას და გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიის განხორციელების რეგიონალურ სტრატეგიას.

**რაც შეეხება ამ მხრივ არსებულ რეალობას, Help Age 6nternetional-ის მიერ წარმოებული კვლევის თანახმად, საქართველოში 60 წელს გადაცილებული ადამიანების რაოდენობა 2014 წლისთვის მთლიანი მოსახლეობის რაოდენობის 20,1 პროცენტს შეადგენს. 2014 წელს საქართველოში სიღარიბის ზღვარს ქვემოთაა 60 წელს გადაცილებული მოსახლეობის 19 პროცენტი, პენსიას იღებს 65 წელს გადაცილებული ადამიანების 89 პროცენტი, დასაქმებულია 55-დან 64 წლამდე ასაკის მოსახლეობის 60,6 პროცენტი.**

სოციოლოგი ვალერიან გორგილაძე ფიქრობს, რომ Help age international-მა ხანდაზმულებისთვის ძალზედ ოპტიმისტური სურათი დახატა, მაშინ როდესაც რეალურ ცხოვრებასა და agewatch ინდექსს შორის სერიოზული დისონანსია.

ხანდაზმულები თავიანთი ყოველდღიური პრობლემების მოგვარებას მეტ-ნაკლები აქტიურობით ცდილობენ. პენსიონერთა კავშირის მთაწმინდის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარემ მერი სეხნიაშვილმა, მაგალითად, მთავრობის სახელზე ხელმოწერების შეგროვების შესახებ გვიამბო:

**„ჩვენ ჩამოწერილი გვაქვს ის პრობლემატური საკითხები, რაც გვაწუხებს. ვაკეთებთ პენსიონერების ხელმოწერებს და მერე შესვლა გვინდა მთავრობაში, რომ არა მარტო სიტყვით იყოს ეს ჩვენი მოთხოვნა, არამედ მივაღწიოთ იმას, რომ რაღაც სასიკეთო ძვრები იყოს პენსიონერებისთვის და არა მარტო პენსიონერებისთვის. უფრო მეტად სოციალური საკითხები გვაწუხებს — გაჭირვებულია ხალხი. 150 ლარი რა არის, ერთი მითხარით. მშიერ-მწყურვალი არიან, არაფერი შემოსავალი არა აქვთ. პენსიონერმა თავისი პენსიის ხარჯზე უნდა შეინახოს თავისი თავიც, ოჯახიც, შვილებიც და შვილიშვილებიც“.**

**მანამდე კი, სანამ ხანდაზმულთა პეტიცია მთავრობაში შევა, მათ თავიანთ პრობლემებზე საუბარი სახალხო დამცველთან საგანგებო შეხვედრაზე ხანდაზმულთა საერთაშორისო დღეს, 1 ოქტომბერსაც, შეძლეს. სახალხო დამცველთან შეხვედრაზე ცნობილი გახდა, რომ უახლოეს მომავალში ომბუდსმენსა და პენსიონერთა კავშირს შორის თანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდება.**

**ნონა მჭედლიშვილი,**
რადიო „თავისუფლება“

## საგარეო ვალი

# როგორ იქმნებოდა ეკონომიკური ზრდის ილუზია

**2015 წლის ბიუჯეტის ირგვლივ სკანდალი უკვე აგორდა — საპარლამენტო უმცირესობა კვლავ ცდილობს, ტრაგიკული სურათი შექმნას. უმცირესობის დეპუტატის ზურაბ ჯაფარიძის შეფასებით, ქვეყნის ეკონომიკური განვითარების შესახებ ხელისუფლება ზღაპრებს ყვება.**

როგორც ჯაფარიძემ პარლამენტის პლენარულ სხდომაზე განაცხადა, ის რაც იზრდება, მხოლოდ მთავრობის შენახვის ხარჯებია და მომავალი წლისათვის 323-მილიონი ლარით მეტი დაჯდება მისი შენახვა, ვიდრე 2012 წელს სააკაშვილის მთავრობის შენახვა დაჯდა.

**„თქვენივე ციფრების მიხედვით, ორ წელიწადში ყველა მიმართულებით არის გაუარესება. რეალურად საქართველომ დაკარგა 4 მილიარდი ეკონომიკაში. წელს და მომავალ წელს ქვეყანას ექნება 3-მილიარდიანი ახალი ვალი. ქვეყანამ დაკარგა ნახევარმილიარდ დოლარზე მეტი სავალუტო რეზერვი. გასულ წელს ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი 700 მილიონით გაირღვა და ვერც წლევანდელი ბიუჯეტი შესრულდება“,** — განაცხადა ჯაფარიძემ.

როგორც ექსპერტი ლევან კალანდაძე აცხადებს, ნაციონალების მხრიდან ხაზის გასმა დღევანდელი ხელისუფლების ვალებზე, ცოტა უხერხულია და მორალისგან ძალიან შორსაა.



**„საპარლამენტო უმცირესობა ამ თემის ზედმეტ პოლიტიზებას და ზედმეტ დრამატიზებას, ახდენს მერწმუნეთ, ქვეყანაში არ არის კატასტროფული მდგომარეობა. ბიუჯეტი პრობლემური არ არის. თუმცა, გარკვეული შენიშვნები მაქვს — ვთვლი, რომ ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი დაბალია, მაგრამ ეს რეალობაა. რატომ არ არის 8% — ეს სხვა საკითხია.**

**2015 წლის ბიუჯეტი რეალისტურია, თუ ფინანსთა სამინისტრომ 2014 წელს სრულფასოვნად მოახდინა ერთი მხრივ, სესხის მობილიზება, მეორე მხრივ, მისი ათვისება. 2014 წლის მიმდინარეობას რომ ვაკვირდები, ამის გაკეთება ძალზე გართულდება და 2015 წლის ავკარგიანობა იმაზე იქნება დამოკიდებული, როგორ შეძლებს ფინანსთა სამინისტრო წლევანდელი წლის დასრულებას“,** — მიიჩნევს ლევან კალანდაძე.

შეგახსენებთ, რომ 2015 წლის ბიუჯეტი 9 მილიარდ 350 მილიონი ლარით განისაზღვრა. მომავალი წლის ბიუჯეტის მთლიანი შიდა პროდუქტის რეალური ზრდის პროგნოზი 5%-ია, ინფლაცია კი 4 %.

2015 წლის ბიუჯეტის პროექტის მიხედვით მთავრობა აპირებს, რომ აიღოს საშინაო და საგარეო ვალი, მთლიანობაში იქნება ერთი მილარდ 300 მილიონზე მეტი, რასაც არ ეთანხმებიან საპარლამენტო უმცირესობის წევრები.

უმცირესობის წევრებისთვის მიუღებელია ასევე 5%-იანი ეკონომიკური ზრდა. ისინი აცხადებენ, რომ ისეთ ქვეყანაში, როგორიც არის საქართველო, რომელსაც სურს განვითარება და წინსვლა, აუცილებელია, რომ უფრო მეტი ეკონომიკური ზრდა იყოს დაგეგმილი.

**„როგორც გავიგე არის კიდევ საუბარი, რომ დიდი რაოდენობით ვალი უნდა აიღოს, რომელიც იქნება ჩვენი მომავალი თაობის გადასახდელი. ანუ, ამ მთავრობამ გასცა უსაზღვრო დაპირებები, რომლიდანაც არაფერი არ შეასრულა, მაგრამ ის ვალდებულებები, რომელიც აღებული აქვს, იმათ გასასტუმრებლადაც საკუთარი შემოსავლები არ ჰყოფნის და იღებენ და იღებენ ყოველ წელს ვალს. ამდენი ვალი რაც ამ ორ წელიწადში აიღო, საქართველოს მთავრობას არ აუღია არასდროს“,** — აცხადებს ზურაბ ჯაფარიძე.

რაც შეეხება უმრავლესობის წევრებს, მმართველი გუნდი უმცირესობის წევრების ამ არგუმენტებს არ ეთანხმება და არგუმენტებად ის სარეიტინგო ქულები მოჰყავთ, რომელიც საერთაშორისო ორგანიზაციების მიხედვით საქართველოს აქვს მინიჭებული.

რაც შეეხება საგარეო ვალს, რომელზედაც განსაკუთრებული პათოსით აპელირებს ყოფილი ხელისუფლება, ფინანსთა მინისტრი აცხადებს, რომ მომავალ წელს საგარეო ვალს მხოლოდ ინფრასტრუქტურული პროექტებისათვის ავიღებთ.

რაც შეეხება საშინაო ვალს, ხადურის თქმით, მთავრობა დაახლოებით 400 მილიონ საშინაო ვალს აიღებს.

**„მომავალ წელს ვალსაც ვიღებთ და ვალსაც ვისტუმრებთ. რაც შეეხება გასტუმრებას, მომავალ წელს 345 მილიონი ლარის გადახდა მოგვიწევს საგარეო ვალებში. დაახლოებით 160 მილიონი ლარით შევამცირებთ საშინაო ვალს მომავალ წელს. საშინაო ვალს ავიღებთ ალბათ 400 მილიონ ლარს. რაც შეეხება საგარეო ვალს, მომავალ წელს ვალდებულებები გაგვეზრდება მილიარდ სამას ოცი მილიონი ლარით. აქედან 900 მილიონ ლარზე მეტი საგარეო დაფინანსებიდან ინფრასტრუქტურას მოხმარდება“,** — განაცხადა ხადურმა.

არის თუ არა ტრაგედია ქვეყნისთვის ვალის აღება და რატომ გახდა საგარეო ვალის თემა ნაციონალებისთვის ასე მნიშვნელოვანი როდესაც საქართველოს სტატისტიკის სამსახურის მონაცემებით: „2007—2012 წლებში საქართველოში რეალურ ეკონომიკურ ზრდას ადგილი არ ჰქონია. მთლიანი შიდა პროდუქტისა და მთლიანი ეროვნული შემოსავლის მაჩვენებლების ზრდა გამოწვეული იყო საგარეო ვალის ზრდით. საგარეო ვალის უცვლელობის პირობებში 2007—2012 წლებში იქნებოდა მთლიანი შიდა პროდუქტის მკვეთრი კლება, ანუ 2007—2012 წლებში საქართველოს ეკონომიკა იმყოფებოდა ეკონომიკურ კრიზისში, რომელიც საგარეო ვალის ზრდით იყო შენიღბული. საგარეო ვალი იმდენად სწრაფად იზრდებოდა, რომ ქმნიდა ეკონომიკური ზრდის ილუზიას“.

იმავე სტატისტიკის მონაცემებით, 2013 წლის პირველი კვარტლიდან სიტუაცია კარდინალურად შეიცვალა — საქართველოს საგარეო ვალი შემცირდა, რაც სახელმწიფო საგარეო ვალის კლებით იყო გამოწვეული.

**„ამავე დროს, მთლიანი შიდა პროდუქტი 2013 წლის პირველ-მეორე კვარტალში 128.4 მლნ. აშშ დოლარით მოიმატა. 2013 წლიდან საქართველოს ეკონომიკა კრიზისიდან გამოდის, ადგილი აქვს რეალურ ეკონომიკურ ზრდას, რადგან საგარეო ვალის კლების ფონზე მთლიანი შიდა პროდუქტი იზრდება. მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდას განაპირობებს: სოფლის მეორნეობის სახელმწიფო მხარდაჭერა, ახალი საწარმოების დაფინანსება, საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესება და სხვა ცვლილებები“** — ნათქვამია სტატისტიკის სამსახურის ანგარიშში.

ყოველ შემთხვევაში, წინა ხელისუფლება გაცილებით უკეთეს მდგომარეობაში იყო იმ მხრივაც, რომ საქართველოს საგარეო ვალების გადახდის პერიოდი 2013 წლიდან ეწყებოდა.

ექსპერტი, ემზარ ჯგერენაია თვლის, რომ არ არის ტრაგედია, როდესაც ქვეყანა საგარეო ვალს იღებს. არსებობს კოეფიციენტები, რამდენია საგარეო ვალის დასაშვები ნორმა და საქართველო ამ კოეფიციენტებში ჯდება.

როგორც კალანდაძე აცხადებს, მას ბიუჯეტთან ყოველთვის ერთი შენიშვნა აქვს, რამდენად სწორად იგეგმება ის, ანუ რამდენად ადეკვატურია მოსალოდნელი შემოსავლები გასაწევ ხარჯებთან შედარებით.

რაც შეეხება ნაციონალების დროს აღებულ ვალებს, ლევან კალანდაძე განმარტავს, იმ დროს ვალი აიღეს მსხვილი ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად, რეალურად კი არამიზნობრივად დაიხარჯა.

**რაც შეეხება ნაციონალების განცხადებებს, როგორც ემზარ ჯგერენაია აცხადებს, ისინი არიან ოპოზიციაში და ბუნებრივია, შანსს არ გაუშვებენ, რომ ილაპარაკონ.**

**მარიამ თოდაძე**

## ჯანდაცვა

# სადაზღვევო ბიზნესის დაისი?

**ბოლო წლინახევრის განმავლობაში ქვეყნის არსებობისთვის ისეთ უმნიშვნელოვანეს სფეროში, როგორიცაა ჯანდაცვა, უდიდესი ცვლილებები რომ მოხდა, ფაქტია. 2012 წლის ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში კოალიცია „ქართული ოცნების“ გამარჯვების ორი წლისთავთან დაკავშირებით საზოგადოების წინაშე გამოსულმა პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა, ახალი ხელისუფლების წარმატებების თაობაზე ლაპარაკისას, ერთ-ერთ უმნიშვნელოვანესად სწორედ ჯანდაცვის სფეროში განხორციელებული კარდინალური ცვლილებები აღნიშნა.**

შარშან თებერვლის მიწურულიდან ამოქმედებულ საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამაში საქართველოს ყველა ის მოქალაქე ჩაერთო, ვისაც იმ დროისთვის არც სახელმწიფო, არც კორპორაციული, და, მით უმეტეს, არც ინდივიდუალური სამედიცინო დაზღვევა არ ჰქონდა. 2013 წლის ივლისიდან კი აღნიშნული პროგრამის მეორე ნაწილიც ამოქმედდა. ესეც ყველასთვის კარგადაა ცნობილი, მაგრამ ამის თაობაზე კიდევ ერთხელ მხოლოდ იმ მარტივი მიზეზით ვლაპარაკობთ, რომ დღესდღეობით ბევრს თითქოს აღარც ახსოვს ის ავადსახსენებელი დრო, როცა უამრავი ადამიანი არათუ სრულფასოვან სამედიცინო დახმარებას ვერ იღებდა, ელემენტარულად, უბნის ექიმსაც ვერ აკითხავდა უსახსრობის გამო.

ბუნებრივია, რომ საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით გათვალისწინებული პაკეტი, რომელიც სახელმწიფო ბიუჯეტით 4,5 მილიონ კაცზეა გათვლილი და დაფინანსებული, იმდენად ბევრი სახეობის სამედიცინო მომსახურების მომცველი ვერანაირად ვერ იქნება, როგორიც, ვთქვათ, კორპორაციული ანდა ინდივიდუალური სამედიცინო დაზღვევის პოლისი.

თან ისიც ხომ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ცხოვრებაში ყველაფერი შედარებითია?!

თანაც სახელმწიფო აცხადებს, რომ საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის დაფინანსებას არანაირი საფრთხე არ ემუქრება, განსხვავებით კორპორაციული დაზღვევისგან, რომლის არეალი, განსაკუთრებით ბოლო დროს, საგრძნობლად შემცირდა. აქ კი იმ ზოგიერთ არასასურველ ასპექტს მივადექით, რომელიც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამას ახლავს.



უწინარესად ეს გარემოება კერძო სადაზღვევო ბიზნესს შეეხო იმ თვალსაზრისით, რომ ბევრმა დიდმა თუ საშუალო კომპანიამ თანამშრომელთა კორპორაციული დაზღვევა საგრძნობლად შეამცირა, ანდა საერთოდ შეწყვიტა. ეს გასაგებიცაა: იმ პირობებში, როცა მეწარმე სუბიექტები საკუთარი თუ მოზიდული სახსრების დაზოგვას მაქსიმალურად ცდილობენ, მოსამსახურე პერსონალის საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამისთვის „გადაბარება“ საამისოდ მშვენიერ შესაძლებლობას აძლევს. თანაც წლეულს პირველი აპრილიდან კერძო სადაზღვევო სექტორს უმწეო პირების, ხოლო პირველი სექტემბრიდან — პენსიონერების, პედაგოგებისა და სტუდენტების დაზღვევაც ჩამოერთვათ. ამდენად, ეს ბაზარი თითქოსდა თავისთავად საგრძნობლად შემცირდა, რადგან მოსახლეობის დიდი ნაწილი ამ თვალსაზრისით, ასე ვთქვათ, „სახელმწიფო კმაყოფაზე“ გადავიდა. ამასთან დაკავშირებით იმის თქმაც შეიძლება, რომ ზოგიერთმა მეწარმე სუბიექტმა სადაზღვევო კომპანიებისგან თავიანთი მომსახურე პერსონალისთვის მხოლოდ ისეთი სამედიცინო დაზღვევის პაკეტი შეიძინა, რომელიც იმ სამედიცინო სერვისებს ითვალისწინებს, რომლებსაც საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა არ ემსახურება. ეს, ცხადია, არ ეხება მძლავრ, სოლიდურ კომპანიებს, რომლებსაც დიდი ფინანსური რესურსი გააჩნიათ, მაგრამ ასეთების რიცხვი და, ბუნებრივია, იქ დასაქმებულთა ოდენობა, საერთო რიცხოვნობასთან შედარებით ძალიან მცირეა.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ექსპერტები ვარაუდობენ, რომ სამედიცინო სადაზღვევო საქმიანობა საქართველოში ახლო მომავალში შესაძლოა საერთოდ მოიშალოს, რაც, ცხადია, საერთო ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით უაღრესად უარყოფითი შედეგი იქნება, რადგან ინდივიდუალური სამედიცინო პოლისების ბაზარი, მოსახლეობის უდიდესი ნაწილის ხელმოკლეობის პირობებში, ძალიან მცირეა.

ქვეყნის ჯანდაცვის სისტემაში ბოლოდროინდელ სიახლეებთან დაკავშირებით ყველაზე დიდი მითქმა-მოთქმის თემაა რამდენიმე ათასი სამკურნალო პრეპარატის შესაძენად აუცილებელი საჭირო რეცეპტები, რაც მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობის უდიდეს უკმაყოფილებას იწვევს. იმის მიუხედავად, რომ ხალხის დამოკიდებულება ჯანდაცვის სამინისტროსა და უშუალოდ მისი ხელმძღვანელობის მუშაობისადმი დადებითია, პოლიკლინიკებში საოჯახო ექიმთან, ვთქვათ, წნევის წამლის გამოსაწერად მისული ავადმყოფი მოქალაქეების გაუთავებელი ლოდინი, რაც არა იმდენად პაციენტის გასასინჯად საჭირო დროის, არამედ თავად რეცეპტის გამოსაწერად გრძელი პროცედურითაა განაპირობებული, ბევრისთვის სრულიად აუტანელია. მეტიც: სწორედ ეს გარემოება უკვე გახდა კახეთში ტრაგიკული შედეგის მიზეზი.

რამდენადაა გამართლებული რეცეპტების აფთიაქებში წარდგენის აუცილებლობა ნარკომანიასთან ბრძოლის ეფექტიანი მეთოდად გამოყენება, ეს, ცხადია, სპეციალისტების გასარკვევია, მაგრამ საქმე ისაა, რომ მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის ექსპერტების განცხადებით, ამ გზით ასპროცენტიანი შედეგის მიღწევის გარანტია იმ მარტივი მიზეზით არ არსებობს, რომ ახალ-ახალი პრეპარატების ნარკოტიკული თრობის გამოსაყენებელთა სიაში შეტანას ნარკოლოგები დროულად იმის გამო ვერ ასწრებენ, რომ ნარკომანთა „ხელის მომმართველი“ ქიმიკოსები მუდამ ორი ნაბიჯით წინ არიან და ახლა ტექნოლოგიებს აგნებენ.

თავად წამლების სიძვირეზე და ამის მიზეზებზე კი ამ ჯერზე მხოლოდ იმის გამო არ ვლაპარაკობთ, რომ ეს თემა ცალკე წერილშიც შეიძლება არ ჩაეტიოს.

**ოთარ ტურაბელიძე**



ყოველკვირეული ლიტერატურულ-პუბლიცისტური ჩანართი №226





# ნიკო კეცხოველის „იმედიანი მომავალი“

**უფროსებს უმცროსების ყოფაქცევა არ მოსწონთ: „ჩვენ უკეთესები ვიყავითო“... – იტყვიან ხშირად, თურმე არისტოტელეც კი იმავე სიტყვებით ახასიათებდა ახალგაზრდობას, რითაც ჩვენს დროში ზოგიერთი.**

ამ საკითხზე რომ ლაპარაკი ჩამოვარდება, მაგონდება ხოლმე ერთი პატარა ამბავი, რომელიც თავს გადამხდა თითქმის 70 წლის წინათ: ვენახის ბილიკზე მივდიოდი. ბილიკი კარგად გატკეპნილი იყო და თითქოს ელვარებდა. მახარებდა და ჩემი სიხარული ასკინკილათი გამოვხატე. ფეხებთან ეგდო რამდენიმე ლობიოს პარკი. ერთი მათგანისათვის დამედგა ფეხი და როდესაც გასკდა, გაიკრაჭუნა. მეორესაც დავადგი ფეხი – გაიტკაცუნა, მესამესაც და ამ დროს მომხვდა ფეხებში.

– შენც თუ კაცი გამოხვალ და... მე სულ არა მჯერაო... – თურმე პაპაჩემი იქვე, ვაზებში ყოფილა, ალბათ ეალერსებოდა მსხმოიარე მტევნის დატვირთულებს. რომ დაინახა ლობიოს პარკს, იმის მაგივრად რომ ამეღო და სახლში წამეღო, უდიერად ვექცეოდი, აღშფოთდა.

მას შემდეგ 70 წელი გავიდა. ამ ხნის განმავლობაში უნდა შეცვლილიყო ადამიანთა ურთიერთობის ნორმები და შეიცვალა კიდეც. რასაკვირველია, იმისათვის, რომ ერთი მარცვალი ლობიო არ აიღოს ბავშვმა, მის მომავალზე ხელს ვერ ავიღებთ.

ჩვენ გვინდა, ახალგაზრდა განვითარებული და განათლებული იყოს, ზრდილი, თავაზიანი, მშრომელი ბევრი რამ ოჯახმა, სკოლამ, მწერლობამ უნდა შეასწავლოს, მაგრამ ხშირად ვტყუით ოჯახიც, სკოლაც, მწერლობაც...

კაცმა უნდა თქვას და მწერლობა ერის მეწინავე მედროშეა. მწერლობა აძლევს ახალგაზრდობას იმ სულიერ საზრდოს, რომელზედაც უნდა გაიმართოს მომავლი მოქალაქე, მოსიყვარულე თავის სამშობლოსი, შიგადაშიგ გამოერევა ნაწარმოები, რომელიც არავითარ შემთხვევაში მწერლის ნაწარმოებად არ შეიძლება ჩაითვალოს.

ეს დღევანდელობის მოდაა, რომ მწერლობა ბევრს უნდა და მართლაც ბევრი წერს. მაგრამ ისიც მართალია, რომ რაც იწერება ყველა კი არ უნდა იბეჭდებოდეს.

ჯერ დაუდუღებელ ახალგაზრდას ყოველთვის არა აქვს ნაწარმოების კრიტიკულად აღქმის უნარი. დაწერილს ღრუბელივით იწოვს, დაწერილი ყველაფერი მართალი ჰგონია.

ზოგიერთი მწერალი ბრმად ჰბაძავს დასავლეთის ზოგიერთი მწერლის ისეთ ნაწარმოებს, რომელიც ამავე მწერლისათვის აღმოჩენად არ ჩაითვლება. ვთქვათ ჰემინგუეის „მეთევზესა და ზღვას“ კი არ ჰბაძავდნენ, არამედ მის „კორიდას“, დაუსრულებელ ღამის თევას რესტორანში ან სამიკიტნოში, კონიაკის სმას, გაშიშვლებულ სხეულს... ზოგიერთ ჩვენ ახალგაზრდა მწერალს სწორედ ასეთი რამის იმიტაცია გადმოაქვს თავის ნაწარმოებში, ანგარიშს არ უწევს იმას, თუ ასეთი ცხოვრება ჰემინგუეის რა გარემოში აქვს აღწერილი.

ზოგიერთ ახალგაზრდას ჰგონია, რომ სწორედ ესაა ტიპიური „განათლებული“ ევროპისათვის და ჩვენშიც იმეორებს იმას, ეს რომ მან წიგნში ამოიკითხა.

ასეთი ნაწარმოებნი დაწერილია ფრიად ღარიბი ენით, სიტყვების ნაცვლად ხშირად საგნის რაობის აღწერა ცუდადაა გადმოცემული. ამავე დროს მთელი ფრაზები უშნო და ულამაზოა. უსწავლია ხუთასიოდე სიტყვა და ამით უნდა ფონს გავიდეს.

აი, ალალბედად აღებული ჟურნალის ერთ-ერთი მოთხრობის ენა:

*...„ელგუჯას კარის საკლიტურში გაკვეხებული წერილი დახვდა“ „ავტოინსპექტორს კალიასკიანი მოტოციკლი ჰყავდა“... „ახლადახალი ვოლგა რბილად მიაკვდა გუდრონს“. ყველანი მეტ-ნაკლებად სახარბიელოდ ჩალაგდნენ (ე. ი. ზოგი ასპირანტურაში მიიღეს, ზოგი – სამსახურში).*

ხშირად სიტყვაც არ ესმის ალბათ:

„ტანსრული ქალი, რომელსაც გადატკეცილი, რბილი სახე და ყელი ჰქონდა, დაბალიც ჩანდა. სამაგიეროდ მჩატე იყო და ჰაეროვანი“ (ამ პატარა ფრაზაში სამი შეუსაბამობა მაინც არის).

არც ავტორი უკვირდება, რას წერს და სამწუხაროდ, არც რედაქტორი.

ბავშვი ითვისებს დაწერილს და ჰგონია: „დაბალი და ჩამკვრივებული ქალი თურმე მჩატეა და ჰაეროვანი“.



(ქვეყნდება პირველად)

ნიკო კეცხოველი, ვერიკო ანჯაფარიძე, ირაკლი აბაშიძე – საპატიო თბილისელები

ან რა საჭიროა უწმაწური სიტყვების თუნდაც დიალოგებში ხშირი ხმარება?!

სკოლების კადრების დაკომპლექტების დროს დიდი ყურადღება უნდა მიექცეს მასწავლებლის შერჩევას, პირველ რიგში, უნდა გაირკვეს, სკოლაში სწავლების ნიჭი და სიყვარული მასწავლებლობისა აქვს თუ არა. ეს ერთ-ერთი ძირითადი თვისებაა მასწავლებლისა. ცოდნა? – იკითხავთ. თუ საქმის სიყვარული აქვს ამ საქმისთვის ცოდნასაც ყოველთვის გაიღრმავებს.

თუ წიგნზე და მწერალზე ვლაპარაკობ ამდენს იმიტომ, რომ მწერალი მიმაჩნია უპირველესად, რომლებმაც უნდა იმოქმედონ მომავალი კარგი მოქალაქის, კარგი ყმის ჩამოყალიბებაზე.

მადლიერების გრძნობით ვიხსენებ იმ წუთებს, როდესაც მე მომაწოდეს „ასპინძის ომი“, „იავნანამ რა ჰქმნა“, „თავდადებული ქართველნი“, „სპარტაკი“ და სხვა. ამ წიგნებმა მიმიყვანეს ჩემს მსოფლმხედველობამდე.

ჯერჯერობით ჩვენ ბავშვებისთვის არ ვაკეთებთ ყველაფერ იმას, რაც უფლებას მოგვცემს, ვუთხრათ მათ „ის ურჩევნიან მამულსა, რომ შვილი სჯობდეს მამასა“.

სკოლის პროგრამაში არის ყველა თანამედროვე საგანი. წიგნები გვაქვს ბევრი, საგანიც ბევრია, იმდენად ბევრი, რომ ბავშვი ვეღარ ასწრებს გაკვეთილების სწავლას. სწორად მუშაობისათვის, ლიტერატურული „საღამო“ და „დილისათვის“, ექსკურსიისათვის დრო აღარ რჩება. აქაც საჭირო იქნება ჩაფიქრება და საჭირო ღონისძიებათა დასახვა, სასკოლო პროგრამების განტვირთვა. მრავალი საგანი სკოლაში უმაღლესი სასწავლებლების შემოკლებულ კურსს წარმოადგენს.

დედას მუშაობის ისეთი პირობები უნდა ჰქონდეს, რომ შვილებთან უფრო მეტ დროს იყვეს. ეს მარტო მეთვალყურეობის საქმე კი არ არის, არამედ პატარაობიდანვე დედამ ბავშვები მუშაობას უნდა შეაჩვიოს.

რასაკვირველია, შეიძლება ლაპარაკი იმაზეც, რომ ბავშვი არ გავანებივროთ, დავარიგოთ და სხვა, მაგრამ ის რაზედაც ვისაუბრე, ჩემი აზრით, მნიშვნელოვანი და მოსაგვარებელი საკითხია.

ჩვენ გვინდა კაი ყმა მოყვარე თავისი ერისა, პატიოსანი, მხიარული, მშრომელი, იბრძოდეს უკეთესი მომავლისათვის.

მე რომ არ მწამდეს ჩვენი ახალგაზრდობისა, ჩვენი მომავლისა, რა მჯიდა, რა მალაპარაკებდა, მივაყუდებდი ჩემს შვილდისარს კუთხეში. ჩამოვჯდებოდი კერიის პირას და... უიმედოდ მივხედავდი სივრცეს...

მაგრამ, არც შვილდი მიმიყუდებია კუთხეში, არც ისარი. არც ვაპირებ.

თქვენი **ნიკო კეცხოველი**

**მასალა მოგვაწოდა თინათინ კობალაძემ**



# ძვირფასი ავტოგრაფი

ხელნაწერი, რომელიც 1978 წლითაა დათარიღებული, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე კონსტანტინე გამსახურდიას ღვაწლს სულ რამდენიმე ფრაზით ჩვეული ლაკონურობით, განმარტავს. ამ სიტყვების მიღმა ჩანს საქართველოს ეკლესიის საჭეთმპყრობლის მწერლის სტილთან ზიარებაც, სიღრმეც, პირადი პათოსიც:

**„მე არა ვარ ლიტერატურის მკვლევარი. მე, რიგითი მკითხველის თვალით ვუყურებ კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედებას. დიდია ის თვალსაწიერი, რომელსაც ეს შემოქმედება სწვდება. ჩემის აზრით, რაც მეტი დრო გაივლის, იმდენად უფრო მეტად გამოჩნდება სიდიადე ჩვენი საუკუნის ამ დიდი შემოქმედისა. „ღამეები ჩაიქროლებენ, როგორც ნაბდით დაჭედილი ბედაურები“, მაგრამ ვერ წარხოცავენ სახელს ღვთით კურთხეული შემოქმედისას, რომელიც თავისი მოწამეობრივი ცხოვრებით მუდამ იმ გზის გასაკაფავად იბრძოდა, რომლითაც მიწიერი ადამიანი ზეციური ღმერთისაკენ მიისწრაფვის.**

**მსუბუქი იყოს მისთვის მისი სალოცავი და სათაყვანო სამშობლო მიწა.**

**ამინ!**



# „წილნაყარი გარდასულ დღეთა“...

## კონსტანტინე გამსახურდიას დედის სილუეტი

*წლების მანძილზე, რადიოს ლიტერატურულ რედაქციაში მუშაობამ ბევრ საინტერესო ადამიანთან მიახლოების საშუალება მომცა. ზოგ მათგანს ისე ხშირად ვხვდებოდი, რომ მათზე საკმაოდ ბევრი მოგონება შემომრჩა. ზოგი უკვე დაისტამბა, ზოგსაც ვცდილობ, კვლავ ლიტერატურული სახე მივცე.*

*ყველა მათგანი თავისებურად განუმეორებელი და საინტერესო იყო. ისინი ამშვენებდნენ არა მარტო ჩვენს სულიერ სამყაროს, არამედ იმ გარემოსაც, რომელშიც ცხოვრობდნენ. ამშვენებდნენ თბილისს, საქართველოს და ჩვენ, ამ რედაქციის მაშინ ახალგაზრდა მუშაკებს, გვამდიდრებდა მათთან ურთიერთობა.*

*ამგვარმა ადამიანებმა გაანათეს ჩემი გზა და ახლა, წლების შემდეგ, თავს მოვალედ ვთვლი, აღვადგინო მათთან ურთიერთობები და შთაბეჭდილებანი. რადიოს „ოქროს ფონდში“ ამ ადამიანთა ხმების ძვირფასი ანთოლოგიური ჩანაწერებია თავმოყრილი. სამწუხაროდ, ამ ხელნაწერის არც ხმა და არც პუბლიკაცია აღარ არსებობს...*

*ესაა ბატონ კონსტანტინე გამსახურდიას სიტყვა დედაზე... დათარიღებულია 1968 წლის ხუთი მარტით. არ ვიცი, რატომ, ხმის ჩანაწერი დაიკარგა... ტექსტი კი ჩემს არქივს შემორჩა.*

***თინათინ კოგალაძე.***

* * *

ჯერ კიდევ მეთორმეტე საუკუნეში, მანდილოსანმა, რომელსაც ცალ ხელში ჯვარი ეჭირა, ხოლო მეორეში ხმალი, საქართველო გადაარჩინა აურაცხელი ურდოების შემოსევას. დიდმა ვაჟამ უწოდა მას ჩვენი ლამაზი დედა. მე ვგულისხმობ ელისაბედ დედოფალსა და მარია ტერეზიას – ავსტრიის იმპერატორისას.

სიტყვა „დედა“ განსაკუთრებით საყვარელი სიტყვაა, დედა ენა, დედა მიწა, დედა ბუნება.

მე პირადად თაყვანს ვცემდი დედაჩემს, ქართული ანბანი მან შემასწავლა. განა მარტო ეგ, მან შემაყვარა რუსთაველი და ქართლის ცხოვრება, დავით აღმაშენებლისა და დავითისა და კონსტანტინეს გმირობა.

დღესაც მახსოვს, შვიდი წლის ყმაწვილი ფეხშიშველა დავყავდი მოწამეთასა და გელათში.

ჩემი ბობოქარი ცხოვრების უმძიმეს წუთებში ვაჟკაცურად მითხრა: – „ნუ გეშინია, საკერავი მანქანა ხომ გვაქვს, კერვას დავიწყებ და ოჯახს შევინახავ, შენ დაჯექი და წერე, როგორც გინდოდეს“...

იგი დაუღალავი მკითხველი იყო, ტფილისში დღესაც ცოცხალნი არიან ის ადამიანები, რომელთაც თავად მოუსმენიათ, თუ როგორ წარმოთქვამდა დედაჩემი შოთას პოემას ზეპირად.

თაყვანსა სცემდა შოთას, ილიას, აკაკის, ვაჟას. უყვარდა შალვა დადიანის კითხა.

იმ ხანებში მე არცთუ დიდი სახელი მქონდა.

ჩემი ნოველები და „დიონისის ღიმილი“ – მხოლოდ ამ ქმნილებებით მიცნობდა საკმაოდ ვიწრო წრე მკითხველებისა.

დედაჩემს თავაზიანად შევახსენებდი ხშირად: უცხო პირებთან ნუ მაქებ-მეთქი. თავისას არ იშლიდა, მის წარმოდგენაში ჩემისთანა ვაჟკაცი და მწერალი ცოცხალთა შორის არ მოიპოვებოდა.

ერთხელ ტფილისის სადგურზე დედაჩემს წამოეწია ჩემი ძველი მეგობარი ვლადიმერ ემხვარი, სწორედ ის, რომელიც იყო არსებითად თარაშ ემხვარის პროტოტიპი.

ვლადიმერმა თავაზიანად ჩამოართვა მას მცირედი ბარგი და კუპეში შეიყვანა.

დედაჩემმა მადლობა მოახსენა და ვინაობა ჰკითხა.

**„თქვენ რა გვარის ბრძანდებით, განგებ შეეკითხა ლადო.**

**„გამსახურდია გახლავართ, კონსტანტინეს ხომ იცნობთ, დედა ვარ მისი“ – „ასეთი კაცის ვინაობა ჯერ არ მსმენიაო“, – მიუგო ლადომ.**

**„შე კაი კაცო, კონსტანტინეს მთელი ქვეყანა იცნობს და თქვენ რა მოგსვლიათ ეს“.**

ბოლოს ჩემმა მეგობარმა დაამშვიდა დედა, გეხუმრებითო.

1928 წლის დეკემბრის 3-ს პატიმრობიდან გამათავისუფლეს.

ერთი კვირით ადრე დედა მიკვდებოდა. მომაკვდავს – ამცნეს კონსტანტინე გაათავისუფლესო. ჩემს ძმებს ევედრებოდა თურმე: პირზე ხელი დამაფარეთ, ეგებ სული არ ამომივიდეს კონსტანტინეს მოსვლამდისო.

შინ დაბრუნებულმა ჩემს საწერ მაგიდაზე ვიპოვე ვეფხისტყაოსანი. დედას სათვალე დარჩენოდა სწორედ იმ ადგილას, სადაც ნესტანის წერილია მოთავსებული.

საშინელი მწუხარებით დავწერე მისდამი მიძღვნილი ჩემი „რეკვიემი“:

*მეც მყავდა დედა, ის წავიდა,*
*მარტო დამტოვა*
*სად, მივაკითხო? ამ ბნელ ღამეს,*
*თუ მრუდე ქაოსს?*
*ჰო დავსილო სიხარულო,*
*ბავშვობის დღეთა,*
*როცა მყოფნიდა სიხალიძე და*
*სითამამე.*
*ო, მრუმე ღამევ, ხომ არ იცი,*
*რა იქნა დედა.*
*ო, ცის ნათელო, ეგებ შენ თუ*
*მაუწყო რამე,*
*მე სიხარულის საუნჯეში გადამეკეტა,*
*ვარამის გესლით გავითანგე*
*და მოვიშხამე,*
*ეგებ ღრუბლებში მზის კარავი*
*მან გაიკეთა.*
*ან წილნაყარი იყოს ეგებ*
*გარდასულ მზეთა*
*და დაეუფლა მის უკვდავ*
*სულს უკუნი ღამე.*

**კონსტანტინე გამსახურდია.**





კონსტანტინე გამსახურდიას დედა – ელისაბედ თოფურიძე, პირველი მეუღლე – რევეკა ვაშაძე, ძმა – ალექსანდრე. 1914 წ.

**P. S.** შესაძლოა, ფონოგრამის გაშიფვრისას დაშვებულია უზუსტობა. საგულისხმოა, რომ არსებობს კონსტანტინე გამსახურდიას წერილი ვლადიმერ ემხვარისადმი, სადაც წერს, რომ თარაშ ემხვარის პროტოტიპი არის არზაყან ემხვარი – დამოუკიდებელი საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრი. აფხაზეთის მთავრობის პირველი თავმჯდომარე.

ვლადიმერ ემხვარმა, არზაყან ემხვარის ვაჟმა, კონსტანტინე გამსახურდიის ეს წერილი, მწერლის სურვილისამებრ, მისი გარდაცვალების შემდეგ გამოაქვეყნა.

**ნინო ხოფერია.**



ელისაბედ თოფურიძე





მოლოდინი

# როდის იქნება საქართველო მზად ალიანსის წევრობისთვის?

**საქართველოში ნატოს სამეკავშირეო ოფისის ხელმძღვანელის უილიამ ლაჰიუს განცხადებით, ალიანსს და მის წევრ ქვეყნებს კარგად ესმით საქართველოს მღელვარება, ეროვნულ უსაფრთხოებასთან დაკავშირებული წუხილი და ისიც, თუ რატომ უნდა ქვეყანას ნატოს წევრობა. მისივე აზრით, უნდა გვახსოვდეს, რომ დროის მომენტი ყველასთვის ძალიან მნიშვნელოვანია. რა კონკრეტული ნაბიჯებია გადასადგმელი ნატოს საბოლოო წევრობისთვის და რა სჭირდება საქართველოს ალიანსის წევრების სრული ნდობის მოსაპოვებლად, ამის შესახებ „ინტერპრესნიუსი" საქართველოში ნატოს სამოკავშირეო ოფისის ხელმძღვანელს უილიამ ლაჰიუს ესაუბრა.**

უილიამ ლაჰიუ – უელსის სამიტზე მიიღეს მნიშვნელოვანი ახალი ინიციატივა, რომელიც საქართველოს, მოლდოვასა და იორდანიას ერგოთ, მაგრამ საქართველო იქნება პირველი ქვეყანა, რომელიც სარგებელს ნახავს ამ პროექტისგან. როგორც იცით, გაძლიერებული თანამშრომლობის პაკეტი გულისხმობს საქართველოს თავდაცვისუნარიანობის ამაღლებას, ნატოს მხარდაჭერას საქართველოს შეიარაღებული ძალებისთვის საკუთარი შესაძლებლობების გაზრდაში. ეს პაკეტი ასევე გულისხმობს უფრო მჭიდრო თანამშრომლობას ნატოსთან. ამიტომ ეს ძალიან მნიშვნელოვანი პოლიტიკური შეთანხმება იყო, რომელიც უელსის სამიტზე ნატოს მოკავშირეებს შორის დამტკიცდა. სამიტის დასრულებისთანავე საქართველოში გამოგზავნილი იქნა დაგეგმვაზე პასუხისმგებელი ოფიცერი, რათა დაგვეწყო გაძლიერებული თანამშრომლობის პაკეტის იმპლემენტაციის პროცესი.

**– ბატონო ლაჰიუ, გასულ კვირას ამერიკულ გამოცემა Foreign Policy-ში გამოქვეყნდა სტატია, რომლის თანახმადაც, საქართველომ აშშ-ის სირიელი მეამბოხეების საწვრთნელი ცენტრის განთავსება შესთავაზა. თუმცა, ქართულმა მხარემ უარყო ეს ინფორმაცია. როგორ ფიქრობთ, რამდენად რეალურია ასეთი ცენტრის განთავსება საქართველოში და რა სარგებელს ან რა რისკებს შეიცავს ჩვენი ქვეყნისთვის „ისლამური სახელმწიფოს" წინააღმდეგ შექმნილ კოალიციაში გაერთიანება?**

– ეს არის მხოლოდ აშშ-ისა და საქართველოს შორის ორმხრივი განხილვის საკითხი და ამაზე კომენტარს ვერ გავაკეთებ. მით უმეტეს, მხოლოდ ერთ სტატიაზე დაყრდნობით, რომელშიც არ არის მოყვანილი რეალური ფაქტები. არც კი ვიცი, საიდან მოდის ეს ინფორმაცია.

**– იმავე სტატიაში, რომელიც მოგვიანებით რედაქციამ განაახლა, მოყვანილი იყო თომას დე ვაალის კომენტარი, რომელიც აცხადებდა, რომ „ნატოს წევრობის პერსპექტივის უქონლობის მიუხედავად, საქართველომ გადაწყვიტა, გააკეთოს ყველაფერი, რაც შეუძლია, რათა იყოს ნატოში, ნატოს გარეთ". როგორ ფიქრობთ, თომას დე ვაალის ასეთი შეფასება ხომ არ მიანიშნებს, რომ საქართველო წლების განმავლობაში „ოქროს ბარათით" ხელში დარჩება?**

– ძალიან საინტერესო შეკითხვაა. რა თქმა უნდა, ჩვენ არ ვიცით, როდის გახდება საქართველო ნატოს წევრი, მაგრამ ყურადსაღებია ის, რომ საქართველო ამჟამად ნატოს ერთ-ერთი მთავარი პარტნიორია. თავდაცვისუნარიანობის გაზრდის ინიციატივა, რომელიც ახალი, გაძლიერებული თანამშრომლობის პაკეტში, გაზრდის საქართველოს, როგორც მთავარი პარტნიორის, შესაძლებლობებს. ალიანსის წევრობის დროის განსაზღვრა კი ნატოს წევრთა ინდივიდუალური გადასაწყვეტია, მათ კონსესუსს უნდა მიაღწიონ ამასთან დაკავშირებით. ეს ძალიან რთული პროცესია, რომელიც ყველა წევრ ქვეყანასა და საქართველოს შორის ნდობის ჩამოყალიბებას მოითხოვს. თუ იმ ქვეყნებთან დაკავშირებით ისტორიას გადავხედავთ, ვინც ნატოს შეუერთდა, დამიჯერეთ, საქართველო არ დგას უკან. ასე მაგალითად, ლიტვა წევრობას 10 წელი ელოდებოდა, კიდევ ერთი პარტნიორი კი 12 წელზეა მეტია, წევრობის მოლოდინშია. გადაწყვეტილების მიღებისას ნატოს წევრი ქვეყნები ითვალისწინებენ თავიანთ ეროვნულ ინტერესს და კოალიციის ინტერესს – დაიცვან თავიანთი ყველა წევრი. ამიტომ ეს არ არის მარტივი პროცესი, ყველა მოკავშირემ ამ პროცესში კომფორტულად უნდა იგრძნოს თავი. მათ უნდა მიიღონ გადაწყვეტილება, რომ ნატოს წევრობის დრო მოვიდა. ეს დრო კი ჯერ არ დამდგარა. საქართველო ამჟამად რამდენიმე მნიშვნელოვანი რეფორმის პროცესშია. ეს ახალი პაკეტი კი მათ გატარებაში დაგეხმარებათ, განსაკუთრებით ეს თავდაცვის სამინისტროს ეხება. ნატო ასევე სხვა სფეროების რეფორმირებას უჭერს მხარს, მაგალითად პარლამენტის, როგორც ხალხის დემოკრატიულად არჩეული წარმომადგენლის განვითარებას. პარლამენტმა უნდა შეძლოს მთავრობის ძალაუფლების დაბალანსება და მათ ქმედებებზე იქონიოს გავლენა. თუ შეხედავთ თქვენს ქვეყანაში მიმდინარე პროცესებს, ნახავთ, რამდენად რთულია ზოგჯერ ერთმანეთის მიმართ ნდობის ჩამოყალიბება. ხალხმა ერთად უნდა იმუშაოს, რათა მოგება ყველა მხარემ მიიღოს.

**– როგორ ფიქრობთ, დარჩება თუ არა ჩვენი ქვეყნისთვის ნატოს წევრობა ან სულ მცირე MAP-იც კი შორეულ პერსპექტივად, ვიდრე საქართველოში არსებული ტერიტორიული კონფლიქტები არ მოგვარდება?**

– ნატოს დოქტრინაში ან პოლიტიკაში არაფერია ისეთი, რომელიც დააბრკოლებს საქართველოს ნატოში გაწევრებას, სანამ სადავო ტერიტორიების საკითხი არ გადაწყდება. საქართველოს ალიანსში ინტეგრაციას ვერაფერი დააბრკოლებს, თუ ქვეყანაში სტაბილური, პროგნოზირებადი ვითარება იქნება და თუ საქართველო კონფლიქტების მშვიდობიანად მოგვარების ერთგული დარჩება. ეს მთავარი საკითხებია და მინდა, ვთქვა, რომ საქართველო არის ერთგული კონფლიქტების მშვიდობიანი მოგვარებისა. საქართველოს მთავრობამ უნდა შეძლოს მოლაპარაკებების გაგრძელების უზრუნველყოფა და მომავალში ინტეგრაციისთვის საჭირო მშვიდობიანი პროცესების წარმართვა. კიდევ ერთხელ გავუსვამ ხაზს, რომ ნატო მხარს უჭერს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, სუვერენიტეტს და ეწინააღმდეგება რუსეთის შეიარაღებული ძალების საქართველოს ტერიტორიაზე ყოფნას და რუსეთის ჩარევას.




**– თქვენს ერთ-ერთ ბოლო ინტერვიუში აღნიშნეთ, რომ გეოგრაფიულად საქართველო უფრო შორს არის იმ ქვეყნებთან შედარებით, რომელთაც სურთ ნატოს წევრობა და განაცხადეთ, რომ გეოგრაფიული სიახლოვე ასრულებს გარკვეულ როლს. შეგიძლიათ, დააკონკრეტოთ, რამდენად მნიშვნელოვანი ფაქტორია ალიანსის წევრობისთვის გეოგრაფიული სიახლოვე?**

– მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ კითხვა დასმული იყო ალბანეთთან დაკავშირებით და ეხებოდა ალბანეთისა და საქართველოს შედარებას. მე აღვნიშნე, რომ ალბანეთი ევროპის ცენტრშია და ეს ფაქტია. საქართველო კი გეოგრაფიულად ევროპისგან მოშორებითაა. როდესაც ჩვენ ვსაუბრობთ გეოგრაფიულ მანძილზე, ჩვენ უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ საქართველო იზოლირებული იყო ევროპისგან 70 წლის განმავლობაში და თითქმის არ ჰქონდა კავშირი ევროპულ ქვეყნებთან. ვაჭრობის საკითხები, კულტურული, პოლიტიკური კავშირები, მოკავშირეების ცოდნა საქართველოს შესაძლებლობებზე, მის საიმედოობაზე მხოლოდ ბოლო 20 წლის განმავლობაში გაიზარდა. ვგულისხმობ, რომ საქართველომ ნატოს წევრობა მხოლოდ რამდენიმე წლის წინათ (2002 წელს) მოითხოვა. ამიტომ საჭიროა დრო იმისთვის, რათა მოხდეს თქვენი ხელისუფლების, დემოკრატიული პროცესების გააზრება. ალიანსის წევრებს დრო სჭირდებათ იმის გასაგებად, თუ როდის იქნება საქართველო მზად წევრობისთვის.

**– საქართველომ ბევრი გაიღო ნატოს წევრობისთვის აუცილებელი კრიტერიუმების შესასრულებლად. საქართველო ნატოს არაწევრი ქვეყნებიდან ყველაზე დიდი კონტრიბუტორია ალიანსის ოპერაციებში. კიდევ რა ნაბიჯები უნდა გადადგას საქართველომ ალიანსის ყველა წევრის ნდობის მოსაპოვებლად და ნატოში გასაწევრებლად?**

– ის ნაბიჯები, რაც საქართველომ გადადგა ნატოსკენ, ვგულისხმობ ძალების გაგზავნას ავღანეთში გლობალური ტერორიზმის წინააღმდეგ, ზრდის საქართველოს ცნობადობას ევროპული და ევროატლანტიკური თანამეგობრობის წევრებს შორის. ვფიქრობ, ამჟამად საქართველო აკეთებს ყველაფერს, რაც შეუძლია, ის სწორი გზით მიდის. ჩვენ ერთად ვმუშაობთ გლობალურ და საკუთარ უსაფრთხოებაზე. გაძლიერებული თანამშრომლობის პაკეტის ერთი ნაწილი მაგალითად, უზრუნველყოფს მეტ ადგილს ქართული ოფიცრებისთვის ნატოს შტაბებში, შესაბამისად, ქართველი ოფიცრები ყოველდღიური გადაწყვეტილებების მიღების პროცესში იქნებიან ჩართულნი. ეს კი ურთიერთობისა და ნდობის გაზრდას შეუწყობს ხელს. კიდევ ერთხელ ვიტყვი, რომ საქართველო წლების განმავლობაში იყო ამ პროცესის მიღმა, რომელშიც ახლა ჩაერთო. 2015 წელს კი, როდესაც საქართველო შეუერთდება ნატოს სწრაფი რეაგირების ძალებს, რაც პარტნიორისთვის ისტორიული მნიშვნელობის როლია ნატოში, ეს იქნება მთავარი ცვლილება ალიანსისთვის. უბრალოდ საჭიროა მოთმინება, რადგან ეს არის სწავლის, ნდობის მოპოვების, ურთიერთგაგების პროცესი. ეს არ არის კონკურსი, სადაც საბოლოო ვადაა მითითებული. ჩვენ კარგად გვესმის საქართველოს მღელვარება, ეროვნულ უსაფრთხოებასთან დაკავშირებული წუხილი და ისიც, თუ რატომ უნდა საქართველოს ნატოს წევრობა. ეს რა თქმა უნდა, ცხადია. მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ დროის მომენტი ყველასთვის ძალიან მნიშვნელოვანია.

**– ესე იგი, საქართველო ჯერ არ არის სრულყოფილად მზად?**

– დიახ, ჯერ სრულად მზად არ არის. ამასთან დაკავშირებით ალიანსის წევრებს შორის აზრთა სხვადასხვაობაა. არის თუ არა საქართველო მზად – კი თუ არა? მაგრამ გააჩნია, რა ფაქტორებს გავითვალისწინებთ. ჩემი აზრით, ეჭვიც კი არ არსებობს იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოს უდიდესი წვლილი შეაქვს ISAF-ის მისიაში. ეს არის საკითხი, რომელიც ზრდის საქართველოს, როგორც – ალიანსის მომავალი წევრის სანდოობას.

**– კიდევ ერთხელ დავუბრუნდეთ უელსის სამიტს. სამიტის შემდეგ ბევრი აღნიშნავდა, რომ ჩვენ მივიღეთ მეტი, ვიდრე MAP-ი...**

– MAP სულ სხვა საკითხია. მნიშვნელოვანია იმის გააზრება, რომ MAP არ გულისხმობს დამატებით დახმარებას საქართველოსთვის. თქვენ უკვე გაქვთ წლიური პროგრამა, რომელიც უნდა შეასრულოთ, თქვენ გყავთ ნატო-საქართველოს კომისია, თქვენ გაქვთ ბუქარესტის სამიტის განცხადება, რომელიც კიდევ ერთხელ დადასტურდა უელსის სამიტზე, რომ საქართველო გახდება ნატოს წევრი, ახლა კი თქვენ გაქვთ ეს ახალი, კონკრეტული ინსტრუმენტების პაკეტი, რომელიც დაგეხმარებათ მომავალ ინტეგრაციაში. თუ შეხედავთ წევრობის სხვა კანდიდატებს, მათ არ აქვთ ასეთი პაკეტი,მაგრამ აქვთ MAP რაც არ გულისხმობს კონკრეტულ დახმარებას და არც წევრობის გარანტიას, ის არ გაძლევთ რაიმე ინსტრუმენტებს. MAP არის კონკრეტული მიზნების დასახვა, რომელიც კანდიდატმა უნდა შეასრულოს, რათა საბოლოოდ გახდეს ალიანსის წევრი. ასე რომ, თქვენ გაქვთ უკვე ყველა საჭირო ინსტრუმენტი, უბრალოდ არ გაქვთ ეს „პოლიტიკური ბეჭედი", რომელიც გაცხადდა ბუქარესტის სამიტზე, რომ MAP არის შემდეგი ნაბიჯი. მერწმუნეთ, MAP უფრო ახლოს არ დაგაკავშირებთ ნატოსთან, გაძლიერებული თანამშრომლობის პაკეტი კი გაძლევთ რეალურ ინსტრუმენტებს, რომელიც ალიანსის წევრობასთან გაახლოვებთ.

ვერ ვიტყოდი და ვერ გავიმეორებდი იმასაც, რომ ეს პაკეტი MAP-ზე უკეთესია, ასეთი სახის სლოგანებს რაიმე ღირებულება არ გააჩნიათ. თქვენ კი, სხვა პარტნიორების უმეტესობასთან შედარებით, გაქვთ ინსტრუმენტი, რომელიც უფრო წინ გაყენებთ, საქართველომ ყურადღება უნდა გაამახვილოს ამაზე, ისევე როგორც მუდმივ წინსვლაზე.

**მარი ჯავახიშვილი**

## დედამიწის ზურგზე




**პენტაგონის ყოფილმა ხელმძღვანელმა ობამას ადმინისტრაციის იმ შეცდომებზე მიუთითა, რომლებიც დაეხმარნენ „ისლამის სახელმწიფოს"**

**როგორც ლეონ პანეტამ თავის ავტობიოგრაფიაში დაწერა, რომელიც შემდეგ კვირას უნდა გამოვიდეს, იგი დღემდე დარწმუნებულია, რომ ამერიკელი სამხედროების მცირე ოდენობის ყოფნა ერაყში შეიძლებოდა ეფექტურად დახმარებოდა ერაყის ხელისუფლებას იმ დაჯგუფებებთან ბრძოლაში, რომლებიც ახლო არიან „ალ-ყაიდასთან", და რელიგიათაშორის დაპირისპირებაში, რამაც ქვეყანა მოიცვა.**

* * *

**უკრაინის შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელის მრჩეველი: პუტინმა იანუკოვიჩსა და აზაროვს საიდუმლოდ მისცა რუსეთის ფედერაციის მოქალაქეობა**



**უკრაინის ყოფილი პრეზიდენტი და პრემიერი, აგრეთვე გენერალური პროკურორი „შეიძლება იყვნენ მშვიდად და კომფორტულად" რუსეთში, ამტკიცებს ანტონ გერაშჩენკო, ვინაიდან მათ ოჯახებსაც ასევე მიეცათ მოქალაქეობა. დმიტრი პესკოვმა უარი განაცხადა, კომენტარი გაეკეთებინა ამ ცნობებისათვის.**

* * *

**ხოდორკოვსკი: რუსეთი მიდის ეკონომიკური კრიზისისაკენ, რამაც 1917 წლის რევოლუციის გამეორებასთან შეიძლება მიგვიყვანოს**



**„მეშინია, რომ პუტინი აპირებს, მიიყვანოს ქვეყანა კრიზისთან გაცილებით უფრო სწრაფად, ვიდრე ეს ბევრს სურს", – განაცხადა იუკოსის ყოფილმა ხელმძღვანელმა ამერიკელ ჟურნალისტთან ჩარლი როუზთან ინტერვიუში. მიხაილ ხოდორკოვსკის აზრით, ეკონომიკურმა კრიზისმა შეიძლება გამოიწვიოს ხალხის ისეთივე უკმაყოფილება, რამაც ერთი საუკუნის წინათ რუსეთის თვითმპყრობელობის დასასრულთან მიგვიყვანა.**

* * *

**შვეულმზიდები „მისტრალი" შეიძლება გადაეცეს რუსეთის ფედერაციას ოქტომბრის ბოლოს, განაცხადა საფრანგეთის თავდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელმა**

**მაგრამ ეს მოხდება მხოლოდ იმ პირობით, თუ უკრაინის აღმოსავლეთში შეწყდება შეიარაღებული შეტაკებანი და დაიწყება პოლიტიკური მოწესრიგების პროცესი. ამის შესახებ პენტაგონში ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო უწყების ხელმძღვანელთან ჩაკ ჰეიგელთან შეხვედრის შემდეგ პრესკონფერენციაზე განაცხადა საფრანგეთის თავდაცვის მინისტრმა ჟან-ივ ლე დრიანმა.**



ჟურნალისტის უბის წიგნაკიდან

# დიდ პოეტი პატარა „ტაიმსელებთან“

გასული საუკუნის სამოციან წლებში გამომავალ სარაიონთაშორისო გაზეთ „სამგორის“ რედაქციასთან, რომელსაც საზოგადოებისთვის კარგად ცნობილი პოეტი სილოვან ნარიმანიძე ათეულობით წლების მანძილზე რედაქტორობდა, ყმაწვილკაცობის წლები მაკავშირებს. მაშინ მე, ჯერ კიდევ შეუბუმბულავ ჟურნალისტს და სხვა თანამოკალმეთაც, რომელთაგან ზოგი უკვე ცნობილი პოეტი თუ პროზაიკოსი იყო, რედაქტორი დაბოხებული ხმით გველაპარაკებოდა და რატომღაც ვფიქრობდით, რომ ის გიორგი ლეონიძეს ბაძავდა. ასეთ მიმბაძველობაში, რა თქმა უნდა, ცუდი არაფერი იყო, მაგრამ, როგორც ჩანს, ვცდებოდით. ცხოვრებაგამოვლილი სილოვანი სიცოცხლის ბოლომდე ბუხუნებდა და ზოგზოგთა დაუოკებელი სიხარბის გამო (პოეტის თქმით, მათ „თავისთვის განიკუთვნეს ამა სოფლის სიამენი და მოძმენი გაწირეს“) ხშირად ბრაზობდა და მათი მისამართით ავსიტყვაობდა კიდეც.

რადგან გიორგი ლეონიძე ვახსენე, არ შემიძლია, არ გავიხსენო ის თბილი და გულითადი გამორჩეული ურთიერთობა, რაც მაშინდელ „სამგორის“ რედაქციის ჟურნალისტებსა და დიდ პოეტს შორის არსებობდა. სილოვან ნარიმანიძის წყალობით, რომელთანაც გიორგი ლეონიძეს შემოქმედებითი ძმობა და მეგობრობა აკავშირებდა (გოგლა სილოვანს თავის ბოკვრად თვლიდა), მგოსანი ჩვენს რედაქციას ხშირად სტუმრობდა.

ამოირბენდა იმხანად უკვე ჭარმაგი პოეტი კიბეებს (კიბეზე ნელა ასვლა არ სჩვეოდა. ეტყობა ამაშიც იყო რაღაც პოეტური, მხოლოდ გოგლასთვის დამახასიათებელი), შემოხსნიდა რედაქციის კარს და თავად მზითა დ სიყვარულით სავსე, ჩვენც მამულიშვილური და კაცთმოყვარული იდეებით დაგვმოძღვრავდა.

— გამარჯობათ „ლოჭინოტაიმსელებო“ (ჩვენს გაზეთს ხუმრობით, „ლოჭინოტაიმსს“ ეძახდა)! — იტყოდა პოეტი, მერე სათითაოდ ხელს ჩამოგვართმევდა, შინაურულად მოგვიკითხავდა, ნაწერ-ნაღვაწს შეგვიქებდა და რედაქტორსაც „გაკენწლავდა“: ყოჩაღ სილოვან, ეს რა ტალიკ-ტალიკი (ეს სიტყვა გამორჩეულად უყვარდა) ბიჭებისთვის მოგიყრია თავიო. ჩვენ, პატარა „ტაიმსის“ წვრილფეხა ჟურნალისტები და მწერლები (იმხანად რედაქციაში მუშაობდნენ პროზაიკოსები — გიორგი პაპუაშვილი, სოლომონ დემურხანაშვილი, გურამ ბათიაშვილი, ჰენრი კობიძე, პოეტები — გივი ძნელაძე, გივი შეყილაძე, ოთარ შალამბერიძე, ნუგზარ ჭანტურია, ნოდარ ნარსია, უშანგი ბედია და სხვები) გაკვირვებულიც ვიყავით და აღფრთოვანებულიც — ამხელა პოეტი და ერისკაცი ასე ძმაკაცურად რომ გველაპარაკებოდა.

ისე, სილოვანის ხელში პურმარილებიც არ გვაკლდა და თუ გიორგი ლეონიძესაც დავპატიჟებდით, მგოსანი არც ამაზე გვეუბნებოდა უარს, წამოგვყვებოდა, თვითონაც მამაპაპურად მოილხენდა და ჩვენც ზეციურ მადლსა გვწევდა, მახსოვს ერთხელ გიორგი პაპუაშვილმა, რომელიც გოგლასთან ძალზე შინაურულად იყო, ოჯახში მიგვიპატიჟა. თავანკარა კახურმა და შემწვარმა ინდაურმა, რომელიც პოეტს განსაკუთრებულად უყვარდა, გიორგი ლეონიძე ისე გაახალისა, სადღეგრძელოებში სულ ვარსკვლავებს წყვეტდა.

ყურებდაცქვეტილნი ვისმენდით, გვინდოდა ყველა სიტყვა ჩაგვეყლაპა და დაგვემახსოვრებინა. ასეთ სიტუაციაში თავი ვერ შევიკავე, ეს რა ღვთისნიერი თამადა გვყავს-მეთქი, გადავულაპარაკე გვერდით მჯდომ ჰენრი კობიძეს. პოეტმა იფიქრა, არ მისმენენო და დაგვტუქსა: თუ ჩემი თამადობა არ მოგწონთ, მობრძანდით და თქვენ ითამადეთო. ესა თქვა, სადღეგრძელო შეწყვიტა და სკამზე მოსხლეტით დაეშვა.

მე და ჰენრის პირკატა გვეცა, სასწრაფოდ წამოვხტით და მოვუბოდიშეთ. სიტყვა დამთავრებული არ გვქონდა, რომ ტანბრგე პოეტი კვლავ ფეხზე იდგა. დასხედითო, დაგვამშვიდა, მე ის კაცი არა ვარ, ვინც თამადობას ასე იოლად შეელევაო, თქვა და დამაჯერებლობისთვის თავისი მოთხრობის გმირი ღვინჯუა დაიმოწმა, რომელიც გამორჩენილი საყველაწმინდიოს სათქმელად მასპინძლის ოჯახს უკვე შუაგზაგავლილი მოუტრიალდა.



იმ საღამოს საყვარელ პოეტთან ნადიმი გვიანობამდე გაგრძელდა, მით უფრო, რომ სიტყვამჭევრ თამადას ტრადიციული, მამაპაპური სადღეგრძელოებიდან არც ერთი არ გამორჩენია და არც დავიწყებული საყველაწმინდიოს სათქმელად მობრუნებულა შუა გზიდან....

ოთარ ხუციშვილი

პოეზია

დავით ტიგინაშვილი (ივერისპირელი)

# გულიდან ამოძახილი...

## მშობლების გახსენება

დედავ, შემინდე ცოდვები,
ქალო, რა განზე გადექი,
ო, სიცოცხლეში, ძვირფასო,
როგორ ვერ გამოგადექი,

ნეტა იცოდე, დედილო,
შენთან რა მომიხარია,
შენი ღვთიური საფლავი
ჩემთვის სამოთხის კარია.

ვიცი. ეს მწარე ცრემლები
დღეს ან ხვალ დამასამარებს,
საფლავზე მუხლდაჩოქილი
ცრემლით მივარღვევ სამარეს.

ამაზე წმინდა ადგილი?
ღმერთო, რა არის, სხვა წმინდა!
ო, დედაჩემის საფლავო,
მონატრებულო მთაწმინდავ.

უფალო, მიწა გატოკდა,
დედავ, გამიღე კარები,
ო, უპატრონო ძაღლივით
ცოდვილი დავიარები.

საცაა დამათენდება,
მალე ცისკარი იალებს,
მოგონებებში სიმწრისგან
ჩეს გულში ცეცხლი ბრიალებს.

მამავ, შემინდე ცოდვები,
ღმერთო, კაცობით მათრობდი,
ნეტავი თუ გაგიმართლე,
ჩემს გაზრდას როგორ ნატრობდი.

აგერ, მთვარე და სანთელი...
ამაღრიალე არაგვო...
ადექი, შე დალოცვილო,
ცოტა ხანს ვილაპარაკოთ.

ახლაც შენი ხმა, მგოსანო,
მეხივითა ჰქუხს მთა-ველად,
შენ, ჩემო მთების არწივო,
შენ, ჩემო ვაჟა-ფშაველავ.

ვაი, რა მეხი დამეცა,
გულში მაძგერეთ მახვილი,
ნეტავ, თუ გესმის ჩემი ხმა
და ჩემი გულის ძახილი?!

ლექსო, შე ოხერ-ტიალო,
ო, სისხლ-ძარღვებში ნადუღო,
ლამის ამ ოხერ სტრიქონებს
კალამი ზედ დავადუღო.

ნეტავ, რა ფერის არიან
თქვენი სამოთხის ფრთოსნები,
თითო ბწკარს გამოვატანდით,
ღმერთო, ბებერი მგოსნები.

ზედ გულზედ გადამატარეთ
მუზის ღვთიური ჩარხები,
რა ბედნიერი კაცი ვარ,
თქვენს გვერდით დავიმარხები.

ო, ლექსზე მოხეტიალეს
მგოსანს მნათლავენ მთამსვლელად,
მარტო ეს ლექსი გვეყოფა
ჯოჯოხეთს გამოსახსნელად.

დიდება, შენდა უფალო
ქვეყნად თუ კაცი მქვიაო,
ო, ჩემი წილი სამოთხე
მე თქვენთვის მიჩუქნიაო.

## გაგიმარჯოს საქართველოს მართლა ჭირისუფალს!

### 75 წლის ჭიდაობის ლეგენდას გურამ საღარაძეს!

მადლი უფალს, რომ მამღერებს
ბულბულების ხმაზე,
ლექსად უნდა ჩამოგრითმო,
გურამ საღარაძევ!

დაიქუხე, ბანი მომეც,
ცივ-გომბორის მთაო,
კაცი ვარ და ქუდი მხურავს,
შენ უნდა თქვა, ძმაო!

მოდი, ღვინით გავიგრილოთ
ეს გული და სახე,
მოვეფეროთ საქართველოს,
მოვეფეროთ კახეთს.

საქართველოს სიამაყევ,
გაიხარე მრევლით.
გონაშვილის ჰანგით გლოცავ,
რქაწითელის ცრემლით!

ძმობას გიძღვნი მეც ხომ შენებრ
მკლავით, კალმით ვომობ,
ჭიდაობის ლეგენდავ და
პურმარილის ლომო!..

ამ სტრიქონებს მე განვმწყევსავ,
ვით ჭედილებს ვაცი,
მიხარია, რომ არსებობ
ღმერთის ტოლა კაცი!



პოეტების რჩეული ხარ,
მთვარე რითმით მავსებს;
ღმერთო, მართლა ლეგენდა ხარ,
სიბრძნით, ჭკუით სავსე!

დამიდუღე სტრიქონები,
ვაზო, პურის ძნაო,
გოგლას ტორებჩამორტყმული
გულით გლოცავ, ძმაო!

წინაპართა სისხლი გიდუღს,
სუნთქვა გათრობს მთების,
ფალავნების აღმზრდელი ხარ,
ღმერთო რაინდების!..

ო, ლექსი დაამშვენებს
შენზე შექმნილ ტომებს
ვენაცვალე, შენი სახით
ყველა ბებერ ლომებს!

კახეთს, არსენ მეკოკიშვილს...
თედიაშვილს.. გოგლას!..
ერთად პური გვიჭამია,
არ დამტოვოთ ობლად!

ხოდა, ჩავსხდეთ, თითო ჭიქით
ნისლი ასდევს სოფლებს...
გავიხსენოთ წასულები...
მოვეფეროთ ცოცხლებს!..

თავად ვცოცხლობ
სპორტულ სულით,
რინგებს ფიქრით ვწეწავ,
რითმებს, როგორც ტაისონი...
ნოკდაუნით ვლეწავ!

ფოლადისფერ ღრუბლებს ეტრფის,
ო, ვაზი... და ბზაო...
ლომის ძალა დაანათლოს,
შენს ნაშიერს, ძმაო!

გაგიმარჯოს საქართველოს
მართლა ჭირისუფალს!
შენს ლოცვას რომ მოვესწარი,
ო. დიდება უფალს!..

ფერისცვალება, 2014 წ.

ალიანჩალიანი

# ეროვნული არქივი ცხრა თვეში 54 734 მოქალაქეს მოემსახურა

ალნიშნული მონაცემი 15 794-ით (28%) აღემატება გასული წლის ანალოგიურ მონაცემს.

1 იანვრიდან 30 სექტემბრის ჩათვლით ეროვნულ არქივს ცნობის ასაღებად მიმართა 53 304-მა ადამიანმა. ყველაზე ხშირად მოქალაქეები ითხოვდნენ შემდეგი სახის საარქივო ცნობებს: კომლის შემადგენლობის შესახებ; ქონებრივი უფლების დადასტურების შესახებ; დაბადების, ქორწინების, განქორწინებისა და გარდაცვალების შესახებ; სამუშაო სტაჟის დადასტურების შესახებ; განათლების მიღების დადასტურების შესახებ. ამავე პერიოდში უახლესი, საისტორიო, კინოფოტოფონოდოკუმენტების, თბილისისა და ქუთაისის ცენტრალური არქივების, ასევე, სამეცნიერო-საცნობარო ბიბლიოთეკის მკვლევართა დარბაზებში 1430-მა ადამიანმა იმუშავა, რომელთაგან 65 უცხო ქვეყნის (აშშ, გერმანია, დიდი ბრიტანეთი, იაპონია, რუსეთი, პოლონეთი, საფრანგეთი, რუმინეთი, აზერბაიჯანი, სომხეთი, ფინეთი) მოქალაქე იყო.

ეროვნული არქივის საცნობარო მომსახურების მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლებში, ასევე, რეგიონულ და ადგილობრივ არქივებში, ხოლო მკვლევარებს ემსახურება ცენტრალური არქივებისა და სამეცნიერო-საცნობარო ბიბლიოთეკის დარბაზები.

ინტერპრესი

# ს.ს.ი.პ – გარემოს ეროვნული სააგენტოს განცხადება

## სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ

**სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გამცემია საჯარო სამართლის იურიდიული პირი გარემოს ეროვნული სააგენტო ელექტრონული აუქციონის (www.eauction.ge) მეშვეობით, გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს.**

**ობიექტი № 1**

| | | |
|---|---|---|
| | ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 43 95 57 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) მოპოვებული მიწისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დაამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან;<br>ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს უფლებამოსილ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს მრიცხველზე ლუქის დადებას;<br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მო-პოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის ავლით ან მის გარეშე;<br>დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება;<br>ე) ლუქის დადებას და შესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიატის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელებს საამისოდ უფლებამოსილი პირი;<br>ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭის და ჭაბურ-ღილის თავმორთულობის მოწესრიგება, ხოლო თვითმდენი ჭაბურღილის შემთხვევაში – მისი ჰერმეტიზაციაც. ლიცენზიის მფლობელი ასევე ვალდებულია უზრუნველყოს წყაროს დაკაპტაჟება;<br>ზ) განხორციელდეს ჭაბურღილის შემოღობვა.<br>თ) უნდა ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>ი) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | თელავის მუნიციპალიტეტში, სოფ. ნაფარეულის მიმდებარე ტერიტორია, მიწისქვეშა მტკნარი წყალი (სამეწარმეო დანიშნულებით, კატეგორია - $C_2$, მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა – 1 000 $მ^3$/წელიწადში). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | თელავის მუნიციპალიტეტში, სოფ. ნაფარეულის მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 19 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 1,9 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 204 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2014 წლის 4 ოქტომბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 4 ნოემბერს დღის 18:00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2014 წლის 4 ნოემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 4 ნოემბერს დღის 18:00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 25 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |

**ობიექტი № 2**

| | | |
|---|---|---|
| | ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 43 95 57 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) მოპოვებული მიწისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დაამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან;<br>ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს უფლებამოსილ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს მრიცხველზე ლუქის დადებას;<br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მო-პოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის ავლით ან მის გარეშე;<br>დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება;<br>ე) ლუქის დადებას და შესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიატის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელებს საამისოდ უფლებამოსილი პირი;<br>ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭის და ჭაბურ-ღილის თავმორთულობის მოწესრიგება, ხოლო თვითმდენი ჭაბურღილის შემთხვევაში – მისი ჰერმეტიზაციაც. ლიცენზიის მფლობელი ასევე ვალდებულია უზრუნველყოს წყაროს დაკაპტაჟება;<br>ზ) განხორციელდეს ჭაბურღილის შემოღობვა.<br>თ) უნდა ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>ი) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | თელავის მუნიციპალიტეტში, სოფ. ნაფარეულის მიმდებარე ტერიტორია, მიწისქვეშა მტკნარი წყალი (სამეწარმეო დანიშნულებით, კატეგორია - $C_2$, მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა – 10 000 $მ^3$/წელიწადში). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | თელავის მუნიციპალიტეტში, სოფ. ნაფარეულის მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 194 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 19,4 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 239 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2014 წლის 4 ოქტომბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 4 ნოემბერს დღის 18:00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2014 წლის 4 ნოემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 4 ნოემბერს დღის 18:00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 25 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |

**ობიექტი № 3**

| | | |
|---|---|---|
| | ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 43 95 57 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) მოპოვებული მიწისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დაამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა |

| | | |
|---|---|---|
| | | საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან;<br>ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს უფლებამოსილ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს მრიცხველზე ლუქის დადებას;<br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მო-პოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის ავლით ან მის გარეშე;<br>დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება;<br>ე) ლუქის დადებას და შესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიატის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელებს საამისოდ უფლებამოსილი პირი;<br>ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭის და ჭაბურ-ღილის თავმორთულობის მოწესრიგება, ხოლო თვითმდენი ჭაბურღილის შემთხვევაში – მისი ჰერმეტიზაციაც. ლიცენზიის მფლობელი ასევე ვალდებულია უზრუნველყოს წყაროს დაკაპტაჟება;<br>ზ) ლიცენზიის მფლობელმა უნდა განახორციელოს ობიექტის (ჭაბურღილი) შემოღობვა და მიმდებარე ტერიტორიის დასუფთავება.<br>თ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>ი) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | თერჯოლის მუნიციპალიტეტი, სოფ. ეწერის მიმდებარე ტერიტორია, მიწისქვეშა მტკნარი წყალი (სამეწარმეო დანიშნულებით, კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა – 10 950 მ$^3$/წელიწადში). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | თერჯოლის მუნიციპალიტეტი, სოფ. ეწერის მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 89 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 8,9 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 218 ლარი |
| | | აველით ან მის გარეშე;<br>დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება;<br>ე) ლუქის დადებას და შესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიატის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელებს საამისოდ უფლებამოსილი პირი;<br>ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭის და ჭაბურ-ღილის თავმორთულობის მოწყობა და დასუფთავება, ხოლო თვითმდენი ჭაბურღილის შემთხვევაში – მისი ჰერმეტიზაციაც. ლიცენზიის მფლობელი ასევე ვალდებულია უზრუნველყოს წყაროს დაკაპტაჟება;<br>ზ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>თ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ქ. სამტრედიის ტერიტორიაზე, მიწისქვეშა მტკნარი წყალი (სამეწარმეო დანიშნულებით, კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა – 1095 მ³/წელიწადში (თითოეული ჭაბურღილიდან 547,5 მ³/წელიწადში)). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | ქ. სამტრედიის მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 35 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 3,5 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 207 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2014 წლის 4 ოქტომბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 4 ნოემბერს დღის 18:00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2014 წლის 4 ნოემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 4 ნოემბერს დღის 18:00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის | 25 წელი |
| | მოქმედების ვადა | |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |
| **ობიექტი № 18** | | |
| | ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 43 95 57 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) მოპოვებული მიწისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დაამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან;<br>ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს უფლებამოსილ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს მრიცხველზე ლუქის დადებას;<br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მო-პოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის აველით ან მის გარეშე;<br>დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება;<br>ე) ლუქის დადებას და შესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიატის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელებს საამისოდ უფლებამოსილი პირი;<br>ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია |
| | | უზრუნველყოს ჭის და ჭაბურ-ღილის თავმორთულობის მოწყობა, ხოლო თვითმდენი ჭაბურღილის შემთხვევაში – მისი ჰერმეტიზაციაც. ლიცენზიის მფლობელი ასევე ვალდებულია უზრუნველყოს წყაროს დაკაპტაჟება;<br>ზ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>თ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | სამტრედიის მუნიციპალიტეტი, სოფ. დაფნარის მიმდებარე ტერიტორია, მიწისქვეშა მტკნარი წყალი (სამეწარმეო დანიშნულებით, კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა - 1 095 მ³/წელიწადში). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | სამტრედიის მუნიციპალიტეტი, სოფ. დაფნარის მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 35 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 3,5 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 207 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2014 წლის 4 ოქტომბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 4 ნოემბერს დღის 18:00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2014 წლის 4 ნოემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 4 ნოემბერს დღის 18:00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 25 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |
| **ობიექტი № 19** | | |
| | ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 43 95 57 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) ობიექტის დამუშავება უნდა მოხდეს ჰიფსომეტრიულად მაღალი ნიშნულიდან დაბალისაკენ, მოქმედი ტექნიკური უსაფრთხოების წესებისა და ნორმების დაცვით.<br>ბ) ობიექტის დამუშავების დროს მოხსნილი ნიადაგის ფენა და ფუჭი ქანი უნდა დასაწყობდეს ტერიტორიის შემდგომი რეკულტივაციის მიზნით, მისი შემდგომი გამოყენებისათვის.<br>გ) გამოირიცხოს ობიექტის ბურღვა-აფეთქებითი მეთოდით დამუშავება.<br>დ) წიაღისეულის მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი დამუშავების პროექტის მიხედვით;<br>ე) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>ვ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ტყიბულის მუნიციპალიტეტი, სოფ. მოწამეთას მიმდებარე ტერიტორია, „მოწამეთას" კირქვის (საშენი მასალა) გამოვლინება (კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 200 070 მ³). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | ტყიბულის მუნიციპალიტეტი, სოფ. მოწამეთას მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 10 000 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 1 000 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 2 200 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2014 წლის 4 ოქტომბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 4 ნოემბერს დღის 18:00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2014 წლის 4 ნოემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 4 ნოემბერს დღის 18:00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის | 5 წელი |

| | | |
|---|---|---|
| | მოქმედების ვადა | |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |
| **ობიექტი № 20** | | |
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 43 95 57 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) მოპოვება განხორციელდეს წინასწარ შედგენილი დამუშავების პროექტის მიხედვით.<br>ბ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>გ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | სამტრედიის მუნიციპალიტეტი, სოფ. მარანჭალას ტერიტორიაზე, მდ. ცხენისწყალზე „ილორის" ქვიშა-ხრეშის საბადო (კატეგორია - $C_1$ + $C_2$ მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 430 800 მ$^3$). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | სამტრედიის მუნიციპალიტეტი, სოფ. მარანჭალას მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 57 764 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 5 776,4 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 11 753 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2014 წლის 4 ოქტომბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 4 ნოემბერს დღის 18:00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2014 წლის 4 ნოემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 4 ნოემბერს დღის 18:00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 5 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |
| **ობიექტი № 21** | | |
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 43 95 57 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია დაიცვას „მაგისტრალური მილსადენების (ნავთობის, ნავთობპროდუქტების, ნავთობის თანმდევი და ბუნებრივი გაზის და მათი ტრანსფორმაციის პროდუქტების) დაცვის წესისა და მათი დაცვის ზონების დადგენის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბრის №365 დადგენილებით გათვალისწინებული მოთხოვნები;<br>ბ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>გ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | თიანეთის მუნიციპალიტეტში, სოფ. ახალსოფლის მიმდებარე ტერიტორიაზე, მდ. იორზე „თიანეთის" ქვიშა-ხრეშის საბადო (კატეგორია - $C_2$, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 119 700 მ$^3$). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | თიანეთის მუნიციპალიტეტში, სოფ. ახალსოფლის მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 16 050 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 1605 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 3 410 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2014 წლის 4 ოქტომბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 4 ნოემბერს დღის 18:00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2014 წლის 4 ნოემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 4 ნოემბერს დღის 18:00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 5 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |
| **ობიექტი № 22** | | |
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 43 95 57 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) მოპოვებული მიწისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დაამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან;<br>ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს უფლებამოსილ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს მრიცხველზე ლუქის დადებას;<br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მო-პოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის ავლით ან მის გარეშე;<br>დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება;<br>ე) ლუქის დადებას და შესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიატის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელებს საამისოდ უფლებამოსილი პირი;<br>ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭის და ჭაბურ-ღილის თავმორთულობის მოწესრიგება, ხოლო თვითმდენი ჭაბურღილის შემთხვევაში – მისი ჰერმეტიზაციაც. ლიცენზიის მფლობელი ასევე ვალდებულია უზრუნველყოს წყაროს დაკაპტაჟება;<br>ზ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>თ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ქ. ქუთაისის ტერიტორია, მიწისქვეშა მტკნარი წყალი (სამეწარმეო დანიშნულებით, კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა – 5 475 მ$^3$/წელიწადში). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | ქ. ქუთაისის ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 177 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 17,7 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 235 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2014 წლის 4 ოქტომბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 4 ნოემბერს დღის 18:00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2014 წლის 4 ნოემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 4 ნოემბერს დღის 18:00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 25 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |

ფეხბურთი

# ეროვნულ ნაკრებში დვალიშვილი და ხმალაძე გამოიძახეს

**საქართველოს ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა თემურ ქეცბაიამ 11 ოქტომბერს შოტლანდიასთან და 14 ოქტომბერს გიბრალტართან სტუმრად ჩასატარებელი მატჩებისთვის შეკრებაზე დანიის „ოდენსეს“ თავდამსხმელ ლადო დვალიშვილთან ერთად კვიპროსის „ოთელოსის“ ნახევარმცველი ლევან ხმალაძე გამოიძახა.**

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ვებგვერდის ინფორმაციით, ქეცბაიამ ხსენებულ მოთამაშეებს მას მერე უხმო, რაც გაირკვა, რომ შეკრებაზე რიგის „სკონტოს“ მცველი ლაშა დვალი და ლუცკის „ვოლინის“ ნახევარმცველი სანდრო კობახიძე ვერ ჩავიდოდნენ.

ეროვნული გუნდი გლაზგოში 6 ოქტომბერს შეიკრიბება, ხოლო დღესდღეობით ქეცბაიას რჩეულთა სია ასე გამოიყურება:

**მეკარეები:** გიორგი ლორია („ოფი“, საბერძნეთი), როინ კვასხვაძე („ოთელოსი“, კვიპროსი), ომარ მიგინეიშვილი („დინამო“).



**მცველები:** გურამ კაშია („ვიტესი“, ჰოლანდია), უჩა ლობჟანიძე („ომონია“, კვიპროსი), აკაკი ხუბუტია („გოვერლა“, უკრაინა) სოლომონ კვერკველია („რუბინი“, რუსეთი), გია გრიგალავა („ანჟი“, რუსეთი), გიორგი რეხვიაშვილი („ბოლუსფორი“, თურქეთი), დავით კვირკველია („სამტრედია“).

**ნახევარმცველები:** მურთაზ დაუშვილი („კარპატი“, უკრაინა), ჯაბა კანკავა („დნიპრო“,უკრაინა), ვალერი ყაზაიშვილი („ვიტესი“, ჰოლანდია), თორნიკე ოქრიაშვილი („გენკი“, ბელგია), ჯანო ანანიძე („სპარტაკი“,რუსეთი), ავთო ებრალიძე („ჟილ ვისენტე“, პორტუგალია“), ლევან ხმალაძე („ოთელოსი“, კვიპროსი), მათე ცინცაძე, გიორგი პაპუნაშვილი, გიორგი პაპავა, ირაკლი ძარია (ყველა „დინამო“, თბილისი).

**თავდამსხმელები:** ლევან მჭედლიძე („ემპოლი“, იტალია), ნიკოლოზ გელაშვილი („ფლამურტარი“, ალბანეთი), ვლადიმერ დვალიშვილი („ოდენსე“, დანია).

**გიორგი შოთაძე**

ევროპის ლიგა

# მხოლოდ შედეგები



**გაიმართა ევროპის ლიგის ჯგუფური რაუნდის II ტურის შეხვედრები. გაუწყებთ მათ შედეგებს.**

**„ა“ ჯგუფი.** „ციურიხი“ — „გლადბახი“ 1:1, „ვილიარეალი“ — „აპოლონი“ 4:0.

**„ბ“ ჯგუფი.** ჰიკი — „ბრიუგე“ 0:3, „ტორინო“ — „კოპენჰაგენი“ 1:0.

**„გ“ ჯგუფი.** „ტოტენჰემი“ — „ბეშიქთაში“ 1:1, „ასტერასი“ — „პარტიზანი“ 2:0.

**„დ“ ჯგუფი.** „ასტრა“ — „ზალცბურგი“ 1:2, „სელტიკი“ — ზაგრების „დინამო“ 1:0.

**„ე“ ჯგუფი.** მოსკოვის „დინამო“ — „ეინდჰოვენი“ 1:0, „ეშტორილი“ — „პანათინაიკოსი“ 2:0.

**„ვ“ ჯგუფი.** „ინტერი“ — „ყარაბახი“ 2:0, „სენტ ეტიენი“ — „დნიპრო“ 0:0.

**„ზ“ ჯგუფი.** „რიეკა“ — „სევილია“ 2:2, „ფეიენოორდი“ — „სტანდარდი“ 2:1.

**„თ“ ჯგუფი.** „კრასნოდარი“ — „ევერტონი“ 1:1, „ვოლფსბურგი“ — „ლილი“ 1:1.

**„ი“ ჯგუფი.** „სლოვანი“ — „ნაპოლი“ 0:2, „სპარტა“ — „იანგ ბოიზი“ 3:1.

**„კ“ ჯგუფი.** კიევის „დინამო“ — „სტიაუა“ 3:1, „ოლბორგი“ — „რიუ ავე“ 1:0.

**„ლ“ ჯგუფი.** მინსკის „დინამო“ — „ფიორენტინა“ 0:3, „გენგამი“ — „პაოკი“ 2:0.

**„მ“ ჯგუფი.** „ტრაბზონი“ — „ლეგია“ 0:1, „ლოკერენი“ — „მეტალისტი“ 1:0.

**ბეჟან დოლიძე**

ახალი სისხლი



# სალაძე მუშაობას გამოცდილი მოჭიდავეების გარეშე შეუდგა

**საქართველოს ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა ნაკრების ახალი მთავარი მწვრთნელი მიხეილ სალაძე სრული დატვირთვით მუშაობას მომავალი კვირიდან დაიწყებს. ვეტერანი მოჭიდავე ვაკის ფალავანთა კლუბში ნაკრების კანდიდატთა ვარჯიშს დაესწრო, რომელიც ახალი სამწვრთნელო შტაბის წევრმა ოთარ ტატიშვილმა ჩაატარა. წინასწარი ინფორმაციით, ფალავანთა კლუბში ეროვნული გუნდის გამოცდილი წევრებიც უნდა მისულიყვნენ, მაგრამ ამჯერად არც ერთი წონითი კატეგორიის ლიდერს არ უვარჯიშია.**

„ჯერ სიტუაციას ვეცნობი. მოვითხოვე იმ მოჭიდავეთა სია, რომლებმაც მსოფლიოს ჩემპიონატისწინა შეკრებაში მიიღეს მონაწილეობა. ნაკრების წევრების პროტესტზე ჯერ ვერაფერს გეტყვით — ყველა მოჭიდავეს შევხვდები და დაველაპარაკები. შევეცდები თითოეული მათგანი დავარწმუნო, რომ პირადი ამბიციები გვერდზე გადადონ და უპირველეს ყოვლისა ქართულ ჭიდაობაზე იფიქრონ. რაც შეიძლება სწრაფად უნდა აღდგეს საწვრთნელი პროცესი. ნოემბრის ბოლოს ბელარუსის საერთაშორისო ტურნირი გველის, მომავალ სეზონში კი ოლიმპიადის ლიცენზიების გათამაშება იწყება“ — განაცხადა მიხეილ სალაძემ.

„კლასიკოსთაგან“ განსხვავებით თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრების სამწვრთნელო შტაბი საქმეში ჯერ არ ჩართულა. ამჯერად ფალავანთა კლუბში ეროვნული გუნდის წევრები იყვნენ, მაგრამ ვარჯიში კვლავ ძველმა მწვრთნელებმა ჩაატარეს. ნუგზარ სხირელი და მისი ასისტენტები დარბაზში სავარაუდოდ ორშაბათიდან შევლენ, გუნდის ლიდერებით თუ მათ გარეშე, მომავალ კვირაში გახდება ცნობილი.

**კობა კობახიძე**

კალათბურთი

# შენგელიამ ვარჯიში განაახლა



**ესპანური „ლაბორალ კუჩას“ ქართველმა კალათბურთელმა თორნიკე შენგელიამ ვარჯიში განაახლა. შეგახსენებთ, რომ „თოკო“ სექტემბრის დასაწყისში სანაკრებო მატჩისას დაშავდა და კარგა ხანს მხოლოდ ყავარჯნების დახმარებით გადაადგილდებოდა, ახლა კი მძიმე დროება უკან დარჩა.**

ბასკური კლუბის ოფიციალური ვებ-გვერდის ცნობით, შენგელიამ უკვე ფიზიკური დატვირთვები და ბურთთან ვარჯიშიც დაიწყო, რასაც შესაბამისი ფოტოები და ვიდეოც თან ახლავს. ჩინებულ ხასიათზე იმყოფება თავად თორნიკეც, რომელიც დიდი ალბათობით მწყობრში დაგეგმილზე ადრე ჩადგება.

„თავს გაცილებით უკვე ვგრძნობ. უფლება რომ მქონდეს, მოედანზე ახლავე გავიდოდი. დიდი მადლობა გუნდის ფიზიოთერაპევტებს — ასიერ უგარტეს და დავიდ ურბანოს, რომელთაც მართლაც ფანტასტიკური სამუშაო გასწიეს. ვგრძნობ, რომ ყოველდღიურად უკეთეს ფორმაში შევდივარ. იმედი მაქვს, ჩინებული სეზონი გვექნება. მიუხედავად იმისა, რომ გუნდის შემადგენლობა 80%-ით შეიცვალა, ვფიქრობ, წარმატებას უნდა მივაღწიოთ“, — აღნიშნა შენგელიამ.

ცნობისთვის, ესპანეთის ჩემპიონატი სტარტს დღეს აიღებს, „ლაბორალ კუჩას“ კი პირველივე ტურში ურთულესი გამოცდა ელის, რადგანაც „ბარსელონას“ ესტუმრება.

**ვიტალი ჯაფარიძე**

ჩოგბურთი

# სერენამ დაძაბულ ბრძოლაში იმარჯვა

**ჩინეთის დედაქალაქ პეკინში მიმდინარე china open-ის ტურნირზე რეიტინგის პირველმა ნომერმა, ამერიკელმა სერენა უილიამსმა კლასიფიკაციის მე-15 ნომერი ჩეხი ლუსი საფაროვა დაამარცხა (6:1, 1:6, 6:2). სერენას ბოლო 10 მატჩში სეტიც კი არ ჰქონდა წაგებული.**

შეხვედრა ისე დაიწყო, როგორც სერენას შეეფერება. უილიამს-უმცროსი თავისი ძლიერი დარტყმებით ფლობდა უპირატესობას.პირველ სეტში საფაროვამ ამერიკელს ვერანაირი წინააღმდეგობა ვერ გაუწია. მეორე სეტში 1:1-ზე საფაროვამ შეუძლებელი შეძლო, სერენას ზედიზედ 5 გეიმი მოუგო და ანგარიში გაათანაბრა. თუმცა, ამერიკელმა მესამე სეტის სტარტზევე ბრეიქი გააკეთა და პირველი სეტის მსგავსად იოლად გაიმარჯვა.



ამერიკელმა 11 ეისი მოაწოდა და 6 ორმაგი შეცდომა დაუშვა, ხოლო ევროპელმა 5 ეისი მოაწოდა და 6 ორმაგი შეცდომა დაუშვა.

სერენა უილიამსი მეოთხედფინალში ავსტრალიელ სამანტა სტოსურს დაუპირისპირდება.

**მანუჩარ გიორგაძე**

ინტერნეტიდან

# შვედი კონკია ზლატანს ეტრფის

**შვედი ჟოზეფინ გუსტაფსონი ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი და წარმატებული სკანდინავიელი მოდელია და შეიძლება ითქვას, რომ თანამედროვე სამოდელო სამყარო ამ მშვენიერი ასულის გარეშე წარმოუდგენელია. ჟოზეფინს მოფერებით შვედ კონკიასაც კი ეძახიან.**

აბა, კონკიობაზე ჩვენ რა გითხრათ და ის კი სრული ჭეშმარიტებაა, რომ ჟოზეფინ გუსტაფსონი მისი მშობლიური ქვეყნის საფეხბურთო ნაკრების გადარეულ კაპიტანზე ზლატან იბრაჰიმოვიჩზეა შეყვარებული და მუხლი ეკვეთება და სული ეხუთება იქამდე, სანამ ეს აყლაყუდა ზლატანი არ ჩაეხუტება.



ზლატანის კაპარჩხანა ცოლს უთქვამს, მაგ ქალის სუსი არ გავიგო, თორე ისეთ ამბებს დავატრიალებ, ევროპაში თავი არ გამოეყოფოდესო, მაგრამ აბა ახლა ერთი იბრაჰიმოვიჩს კითხეთ, იტყვის თუ არა უარს ასეთ კეკლუც ასულთან თუნდაც მცირეხნიან ხვანხვალზე. თანამედროვე მსოფლიოში კაცს ეხვანხვალებოდეს და რა ძალა დააკავებს?!...

**როსტომ რაჭველიშვილი**

SIC!

(მეორე გვერდიდან)

ახალმა მფლობელებმა 2010 წლიდან დიდი რაოდენობით თანხა „მოტეხეს“ თბილისსა და საქართველოს რეგიონებში საკომუნიკაციო ქსელების მონტაჟისას. 4 წელიწადში კომპანიის დავალიანება 80 მილიონი დოლარით გაიზარდა. ამ მიმართულებით მაქსიმალური თანხის ამოღების შემდეგ ერთ-ერთი საერთაშორისო ფირმის წარმომადგენლის ლადო ქვილითაიას მეშვეობით (ზედმეტსახელად „ტოლსტი“), გადავიდნენ ძვირადღირებული აპარატურის შესყიდვაზე, რამდენჯერმე ხელოვნურად გაზრდილი ფასით. ამ მეთოდით მათ სახელმწიფოს დაუმალეს და მიითვისეს რამდენიმე ათეული მილიონი დოლარი, მაგრამ ამ საქმით არც ადრე და არც დღეს, ფინანსური პოლიცია არ დაინტერესებულა. მაგალითისთვის: კომპანიის წართმევამდე ერთი მომხმარებლის ქსელში ჩართვა 60 დოლარამდე ჯდებოდა, დღეს ეს თანხა დაახლოებით 1000 დოლარის ფარგლებშია. ადრე თუ გვიან, ასეთი მიდგომა ფირმის გარდაუვალ გაკოტრებას გამოიწვევს“, — ამბობს მამია სანადირაძე.

# პოლიციამ „კავკასუს ონლაინში“ გარყვნილების ბუდე აღმოაჩინა

როგორც ჩვენი წყარო ამბობს, უკვე ერთი წელია ამ მიმართულებით დიდი თანხის მითვისების გზა ხვიჩა მაქაცარიას „თიბისი ბანკის“ მეშვეობით გადაეკეტა, რადგან ბანკმა თავისი წარმომადგენელი მიავლინა კომპანიაში და ყოველ თეთრს აკონტროლებს და იღებს თანხებს თავისი ვალის დაფარვის მიზნით.

„როდესაც ფულის კეთების ეს სქემა გადაეკეტათ, „კავკასუს ონლაინის“ ორმა მაღალი თანამდებობის მენეჯერმა და მფლობელმა ფულის კეთების ახალი სქემა მოიგონეს. ამბობენ, რომ ფულს სუნი არ ასდის და ისინი ბავშვთა პორნოგრაფიაში გადაეშვნენ. პორნოგრაფიით „კავკასუსის“ მფლობელები და მათი მფარველები, დაახლოებით, 2 წლის წინათ დაინტერესდნენ“, — გვიყვება საქმეში ჩახედული ჩვენი წყარო და დეტალურად აღწერს სქემას, როგორ შეიძლება ტრაფიკის მანიპულირებით დიდი თანხების ამოღება.

**„2008 წელს მარეგულირებელმა კომისიამ დაადგინა, რომ ერთი გიგაბიტის მიერთება პროვაიდერებს შორის არის უფასო, ხოლო ყოველი დამატებითი გიგაბიტის ღირებულება თვეში 5 ათასი ლარია. დავუშვათ, თუ „სილქნეტს“ 5-6 გიგაბიტი ინტერნეტი სჭირდება „კავკასუსიდან“, ამ შემთხვევაში, „სილქნეტი“ დაახლოებით 25-30 ათას ლარს უხდის „კავკასუსს“ იმაში, რომ მის მომხმარებლებს კომფორტულად შეეძლოთ „კავკასუსის“ მფლობელობაში არსებულ პოპულარულ საიტებზე წვდომა (მაგ. avoe.ge და ა.შ). კომპანიის წართმევის შემდეგ „კავკასუსის“ საიტებს ახალმა ხელმძღვანელობამ ყურადღება არ მიაქცია, მათი პოპულარობა დაეცა, ხოლო ვიღაც-ვიღაცეებმა ამით ისარგებლეს, კონკურენტი საიტები გააკეთეს და მათ დაიწყეს ტრაფიკებზე მანიპულირება, თუმცა კი ამ საიტების სერვერებიც „კავკასუსშია“ განთავსებული. ანუ, შექმნეს ახალი კომპანია, რომელიც „კავკასუსის“ სერვერებზე განთავსებულ საიტებზე თავად „კავკასუსიდანაც“ იღებს ფულს.**

ვთქვათ, მე მაქვს საიტი, რომელიც არეგულირებს ტრაფიკს, ვხარჯავ თანხას აპარატურაში და თუ უნდათ, რომ რომელიმე პროვაიდერმა ხარისხიანად უყუროს ჩემს გვერდს, ამაში თანხაა გადასახდელი. დაახლოებით 3 წელია, რაც „კავკასუსიც“ კი უხდის ფულს იმ პროვაიდერს, რომელთა სერვერებიც „კავკასუსშივე“ დგას. ანუ „allmovies.ge“, „allsheares.ge“ და „imovies.ge“-ს სერვერები განთავსებული იყო „კავკასუსის“ სერვერების ცენტრში, თუმცა „კავკასუსი“, ისევე, როგორც „სილქნეტი“ „ეგრისი“ და ა.შ. ამათგან ყიდულობდა თავიანთი მომხმარებლისთვისაც არხს. იმ გადახდილი ფულიდან კი ეს ფირმა უკან რაღაც ნაწილს უხდიდა მფლობელს, რადგან სერვერები ფიზიკურად „კავკასუსში“ იდგა.

**ტრაფიკის ორი ყველაზე დიდი მოთამაშე იყო „allprojects“ და „myhit.ge“. ამ საიტებს პირდაპირი კავშირი აქვთ „კავკასუსის“ ყოფილ ფინანსურ და ახლანდელ კომერციულ დირექტორთან გენადი როსტომაულთან, რომელსაც შპს-ს დირექტორად საკუთარი მეუღლე ჰყავს გაფორმებული. თითოეული საიტიდან შემოსავალი, ტრაფიკის მანიპულირებით დაახლოებით, 80-100 ათას ლარს აღწევს.**

მოგეხსენებათ, რომ მარეგულირებელი კომისიის გადაწყვეტი


ლებით, რომლის იმჟამინდელი თავმჯდომარე ირაკლი ჩიქოვანი იყო და რომელიც დღეს ძებნაშია, ერთი გიგაბაიტის ფასად 5 ათასი ლარი დაწესდა. საერთაშორისო ბაზარზე ყოველწლიურად გიგაბაიტის ფასი 20-30 პროცენტით ეცემა, მაგრამ მარეგულირებელმა კომისიამ რამდენიმე წლის მანძილზე ხელოვნურად შეინარჩუნა ეს ფასი, რადგან მთელი თანხა საააკაშვილის „ჯიბის ბიზნესმენებში“ დალექილიყო. ახლა არ ვიცი, რა მოხდა, მაგრამ მარეგულერებელმა „კავკასუსს“ აუკრძალა ტრაფიკის გაყიდვა ამა წლის სექტემბერში.

რადგან „კავკასუსს“ ტრაფიკის გაყიდვა აეკრძალა, კომპანიამ ყველაფერი გადაიტანა „რკინიგზის ტელეკომში“, რომელიც სააკაშილმა პირდაპირი მიყიდვის წესით მეათედ ფასში (3 მილიონი ლარი) მიჰყიდა ხვიჩა მაქაცარიას (შარანგიების კლანი) და უკვე „რკინიგზის ტელეკომი“ აკეთებდა ფულს. რა განსხვავებაა ფული მარჯვენა ჯიბეში ჩავა, თუ მარცხენაში?! ერთი თვე ასე იმუშავეს. „კავასუსი“ და „რკინიგზის ტელეკომი“ ერთი ორგანიზაციაა. ამის შემდეგ, წინასწარი შთანხმებით ზემოთ ჩამოთვლილმა საიტების მფლობელმა ცალკე გააკეთეს თავიანთი დატა-ცენტრი, დამოუკიდებლად ჩაერთვნენ „კავკასუსსაც“ და სხვა პროვაიდერებსაც და უკვე, ფულის გადაქაჩვა ყველა ორგანიზაციიდან მათთან ხდებოდა. ამ კომპანიების სერვერებზე აღმოჩნდა განთავსებული პორნოგრაფია და კრიმინალურმა პოლიციამ სერვერები გამოძიებისთვის წაიღო“.

პოლიციას საიდან ჰქონდა ეს ინფორმაცია?

ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებაში არის დამატებითი პუნქტები უფლებების დაცვის მიმართულებით. ჩვენს სამართალდამცავ ორგანოებს არ მგონია რაიმე მონიტორინგის საშუალება ჰქონდეთ, მაგრამ, როგორც ჩანს, ინტერპოლმა მიაწოდა ინფორმაცია. ის, რომ პორნოსაიტებს ტვირთვდნენ თავის გვერდზე, ამის მიზეზი მეტი ფულის გაკეთება იყო, მეტი არაფერი.

**ნანა სანიკიძე**

სანთელი

# მისი ხსოვნა თაობებს გაჰყვება



ქართულმა საზოგადოებამ კიდევ ერთი, მრავალმხრივ გამორჩეული პიროვნება დაკარგა. ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ, უკურნებელი სენით გარდაიცვალა ცნობილი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე **ავთანდილ სიხარულიძე**, რომელიც წლების მანძილზე პოლიტექნიკური უნივერსიტეტის ზოგადი და თეორიული ელექტრონიკის კათედრის პროფესორი იყო, სტუდენტ-ახალგაზრდობას უშურველად გადასცემდა თავის დიდ ცოდნასა და გამოცდილებას.

ავთანდილ სიხარულიძე მხოლოდ ვიწრო სპეციალობით არასოდეს შემოფარგლულა, მთელი არსებით უყვარდა ქართული მწერლობა, პოეზია. უაღრესად ფართო ინტერესები ჰქონდა. კერძოდ, თვალსაჩინო ამაგი დასდო ურთულეს დარგს — ლექსიკოგრაფიას. მისმა საფუძვლიანმა ნაშრომმა „ქართული ენის ომონიმთა ლექსიკონი“, რომლის შექმნასაც ათ წელზე მეტი მოანდომა, ერთსულოვანი მოწონება დაიმსახურა. გარდაცვალებამდე რამდენიმე თვით ადრე გამოაქვეყნა ახალი მონოგრაფია ქართული ენის უნივერსალობაზე, უნიკალურ ფენომენზე (ეს გამოკვლევა თავისებურად ეხმიანება იოანე-ზოსიმეს იდუმალ საგალობელს), რამაც ასევე სასურველი გამოძახილი ჰპოვა. იგი იყო ჟურნალ „ამერ-იმერის“ სარედაქციო საბჭოს წევრი და აქტიური ავტორი, მის კალამს ეკუთვნის არაერთი მნიშვნელოვანი წიგნი და პუბლიცისტური წერილი. რომლებშიც იშვიათ განათლებასა და პირუთვნელობას ამჟღავნებდა.

საგანგებოდ უნდა ითქვას ავთანდილ სიხარულიძის სამაგალითო ადამიანურ თვისებებზე. ჭირსა თუ ლხინში მეგობრების გვერდით იდგა. რამდენადაც შეეძლო, ყველა დასახმარებელს ხელს უმართავდა, არავის აკლებდა ყურადღებას.

მამამისი, იუსტინე სიხარულიძე დამოუკიდებელი საქართველოს შეუპოვარი დამცველი იყო და შემთხვევით გადაურჩა რეპრესიებს; თავისი ოთხი შვილი პატრიოტული სულისკვეთებით აღზარდა. მამის გარდაცვალების დღეს, ყოველ 26 თებერვალს, ავთანდილი ოჯახში იწვევდა უახლოეს მეგობრებს და უხვ საძმო სუფრას მართავდა. მუდამ განსაკუთრებულ პატივს მიაგებდა განსვენებულ მშობლებს.

იგი თვითონაც ოთხი შვილის მამა იყო და ეამაყებოდა, რომ ოთხივენი ღირსეული, ქვეყნის სასარგებლო მოქალაქენი დადგნენ. იდეალური ბაბუა თან ჰყვებოდა, დილიდან საღამომდე ელოლიავებოდა შვილიშვილებს, აღარ იცოდა, რითი გაეხარებინა ისინი.

ზედმეტია თქმა იმისა, როგორ შეუნელებელ ყურადღებას იჩენდა იგი თითოეული მეგობრისადმი და ასეთივე უსაზღვროა ჩვენი მწუხარებაც, მისი გარდაცვალების გამო. ქრისტეს მოძღვრების ერთგული მიმდევარი გახლდათ და უმწიკვლოდ გალია წუთისოფელი. იმედად ისღა გვრჩება — უამრავი სამადლო საქმის გამკეთებლის, დიდებული სწავლულის, მხურვალე მამულიშვილის ავთანდილ სიხარულიძის ხსოვნა გზის მაჩვენებლად გაჰყვება თაობებს და დავიწყებას არ მიეცემა.

**დეკანოზი ვახტანგი (ასათიანი), არქიმანდრიტი ელისე (წერეთელი), რეზო ჩხეიძე, ნოდარ ტაბიძე, იური სიხარულიძე, გომარ სიხარულიძე, ნოდარ მამისაშვილი, ბესიკ იაშვილი, გივი ბოჯგუა, გიორგი ფუტკარაძე, გივი ლომიძე, ვახტანგ ჯავახაძე, გურამ გოგიაშვილი, ჯემალ გოგორიშვილი, გურამ დოჩანაშვილი, თამაზ წივწივაძე, კახაბერ რუსიძე, გურამ ყორანაშვილი, ოთარ კუსიანი, ემზარ კვიტაიშვილი, ვაჟა ჩორდელი, ჯემალ ჭელიძე, ზაალ ბოტკოველი, ზაურ კალანდია, გურამ კვინიკაძე.**

მეგობრის ხსოვნას

# კახი ტოგონიძე



წავიდა ჩვენგან საქართველოს ტექნიკური ინტელიგენციის კიდევ ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი, უაღრესად განსწავლული, მაღალი კვალიფიკაციის ინჟინერი, ღირსეული მოქალაქე, პრინციპული, თავისი მაღალი ზნეობის ღირებულებების შეუპოვრი დამცველი და ამავე დროს უზომოდ მოსიყვარულე, კეთილშობილი ადამიანი **კახი ტოგონიძე**.

ბატონმა კახიმ ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე პირნათლად მოიხადა თავისი მოქალაქეობრივი ვალი სამშობლოს წინაშე. ყველგან, სადაც კი მას უხდებოდა მოღვაწეობა, იქნებოდა ეს სამეცნიერო საქმიანობა, მაღალი ტექნოლოგიების წარმოება, აშკარა იყო მისი პროფესიონალიზმი და ხელმძღვანელობის გამორჩეული უნარი.

ბატონმა კახიმ ღირსეულად მოიხადა კიდევ ერთი და ალბათ, უმნიშვნელოვანესი ვალი: მან ქვეყანას აღუზარდა ნიჭიერებით სავსე შვილები, რომლებმაც ახალგაზრდულ ასაკშივე, მოიპოვეს აღიარება ჩვენს ქვეყანაში და მის საზღვრებს გარეთ.

განსაკუთრებით მძიმე გადასატანია კახის წასვლა ამ ქვეყნიდან მისი მეგობრებისთვის, იმ წრისათვის, რომლის განუყოფელი ნაწილიც იგი იყო შვიდი ათეული წლის განმავლობაში, რომლებთან ერთად იზიარებდა ჭირსა თუ ლხინს, თავისი უსაზღვრო და უკიდეგანო იუმორით ანუგეშებდა ყველას.

კახი ტოგონიძის, ამ ხალისიანი, მუდამ შემართული, მხარში მდგომი ადამიანის სახე არასდროს წაიშლება მისი მრავალრიცხოვანი მეგობრების ხსოვნაში.

მსუბუქი იყოს შენთვის, ჩვენო მეგობარო, ქართული მიწა,

ნათელში იყოს შენი სული.

**ბეჟან ქევანიშვილი, ანზორ ახვლედიანი, ზურაბ ამაშუკელი, ჯემალ გოგიჩაძე, მიხეილ ესაკია, ირაკლი მეგრელაძე, მერაბ ნიკოლაიშვილი, თამაზ ჩხიკვაძე, ალეკო ჩხეიძე, საბა ჭელიძე, ალექსანდრე მეტრეველი.**

ინფორმაცია

## ინციდენტი ფოთის საჯარო სკოლაში

ფოთის მე-6 საჯარო სკოლის მე-9 კლასის მოსწავლემ თანაკლასელს თავში რკინის სკამი ჩაარტყა. შემთხვევა გაკვეთილის მიმდინარეობისას მოხდა. დაზარალებულს პირველადი სამედიცინო დახმარება სასწრაფოს ექიმებმა გაუწიეს. მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია.

სკოლაში ამბობენ, რომ მოსწავლეებს შორის კონფლიქტი წინა დღით, სასწავლო პროცესის დასრულების შემდეგ მოხდა და, სავარაუდოდ, გუშიანდელი შემთხვევაც ამის გაგრძელება იყო.

სკოლის დირექტორის განცხადებით, მოზარდი, რომელმაც თანაკლასელს რკინის სკამი ჩაარტყა, მე-6 სკოლაში ახალი გადმოსულია და თანაკლასელებთან ურთიერთობის პრობლემები აქვს. იგი მშობლებთან ერთად ფოთის პოლიციის სამმართველოში დაკითხვაზე წაიყვანეს.

## საბაჟოს თანამშრომელს უკანონოდ შემოჰქონდა ალკოჰოლური სასმელი

ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა შემოსავლების სამსახურის ნინოწმინდის საბაჟო გამშვები პუნქტის თანამშრომელი ანჟელიკა ანტანოსიანი დააკავა. გამოძიებით დადგენილია, რომ ანჟელიკა ანტანოსიანი სარგებლობდა თავის სამსახურებრივი მდგომარეობით და სომხეთის რესპუბლიკიდან საქართველოში სისტემატურად შემოჰქონდა დიდი ოდეობით აქციზური მარკის სავალდებულო დართვას დაქვემდებარებული სხვადასხვა დასახელების სომხური წარმოების ალკოჰოლური სასმელები. იგი კანონის გვერდის ავლით, ახორციელებდა მის რეალიზაციას სხვადასხვა სავაჭრო ობიექტებზე.

ვულოცავთ!

# ამირანით ვართ ძლიერნი!

**ამირან როგავას 5 ოქტომბერს 75 წელი უსრულდება.**

მართალია, მის მხრებზე მე არასდროს შემიმჩნევია, როგორც ეს ქართულ მითოლოგიაშია მოხსენიებული, მზისა და მთვარის გამოსახულება, მაგრამ ჩემი ძმა ამირანიც, მართლაც რომ ღვთაებრივი წარმოშობის პიროვნებაა, მე კი არა, ვინც მას იცნობს, ამაში ეჭვი არავის შეპარვია. ამასთან დაკავშირებით, შემიძლია მისი უახლოესი მეგობრის, სხარტი გონებისა და კვიმატი ენის პატრონის, დიდებული კოლხის, ბატონ ალკაზარ კაკულიას ერთი სტროფი მოვიშველიო: „ჯერ ისტორიას არ ახსოვს, ხობში შენსავით მდივანი, ქვეყნის შენების საქმეში, ავანგარდისტი იყავი“!

ასეთი იყო და ასეთი დარჩა ჩვენი ამირანი, ლამაზი მშობლების, თამარიკოს და ვალიკოს მეოთხე შვილი, ჩვენი უმცროსი, საამაყო და საყვარელი ძმა. არა მარტო კოლხეთში, არამედ ცხოვრების



დიდ გზაზე, მოყოლებული საქართველოს ახალგაზრდობის ორგანიზაციიდან, თბილისში თუ მოსკოვში ქვეყნის მმართველობის „ზედა სართულებზე“ მოღვაწეობისას, ამირანი ყოველთვის ასეთი იყო, უაღრესად შრომისუნარიანი და თავმდაბალი პიროვნება, როგორც თავისი სამშობლოს უანგაროდ მოსიყვარულე და პატრიოტ ადამიანს შეჰფერის. ის დღესაც ასეთია. ასეთია, როგორც შვილი, ძმა, ქმარი, სიძე, მაზლი, ბიძა, მეგობარი, ამხანაგი და. როგორც ნათქვამია ძმობაზე, მისი ოჯახიშვილები ამირანით ვართ ძლიერნი.

ჩემო ამირან, ჩვენი ოჯახის, როგავების საგვარეულოს ერთი შტო, რომელიც ამჟამად მოსკოვშია გადარგული, გულწრფელად გილოცავს ამ შესანიშნავ თარიღს შენს ცხოვრებაში. გისურვებთ ჯანმრთელობას, სიკეთეს და მრავალ ბედნიერ დღეს შენს ლალისთან ერთად!

გკოცნით და გეხვევით: შენი ძმა სულიკო და რძალი ანნა, ძმისშვილი ვალერი, მისი მეუღლე სტელლა და მათი შვილები: ანასტასია და ირინა, და კიდევ, მათი „პრაბაბუშკა“ – შენი გულწრფელად კეთილის მსურველი ქალბატონი ანასტასია სერგეევნა ოჯახით.

**სულიკო,**
მოსკოვიდან
02. 10.2014

ცინცხალი ანეკდოტები

**ექიმის** სახლში ტელეფონი რეკავს – მეგობრები პრეფერანსის სათამაშოდ ეძახიან.

– ძვირფასო, – ეუბნება იგი ცოლს, – სასწრაფოდ უნდა წავიდე საავადმყოფოში.

– რაიმე სერიოზული შემთხვევაა?

– ჰო, სამი ექიმი უკვე ადგილზეა.

* * *

**სარაკეტო** ჯარების შტაბში თათბირია.

– დღეს მივიღეთ ბრძანება შტატების 10 პროცენტით შემცირების შესახებ. გასაგებია?

– გასაგებია.

– ახლა კი დეტალები: ჩემი აზრით, უნდა დავიწყოთ ტეხასიდან, ფლორიდიდან და ალაბამიდან.

* * *

**სიდედრი** ჩემს შვილებს შაბათობით უვლის.

მე კი სამაგიეროდ მის ქალიშვილს ყოველდღე ვუვლი.

* * *

**ორი** დიდი ხნის უნახავი დაქალი ხვდება ერთმანეთს.

– რაღაც ძალიან კმაყოფილი ჩანხარ, – ეუბნება ერთი.

– წარმოგიდგენია, როგორც იქნა, ახდა ჩემი ოცნება: ხვალ ჩემს პირველ როლს ვთამაშობ თეატრში.

– და ვის როლს ასრულებ?

– ერთი შეუხედავი, ფუმფულა და ჩერჩეტი ქერა დიასახლისისას.

– კარგია, მაგრამ თმების გადაღებვა დაგჭირდება.

ფოტოფაქტი



# სკანვორდი




ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“
(რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძობულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24